პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 196 (9972) | ხუთშაბათი, 19 აგვისტო, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
ფართოდ დავნერგოთ გამოფენის მონაწილეთა გამოცდილება. — გამოვიყენებთ მიღებულ გამოცდილებას (მე-2 გვერდი).
წერილები სასოფლო რაიკომიდან. — პარტიული ორგანიზაციის ზრუნვა მეცხოველეობის აღმავლობისათვის (მე-2 გვერდი).
პრესის მიმოხილვა. — მოწინავეთა მიღწევების პროპაგანდა (მე-2 გვერდი).
აფხაზეთის მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკთა თათბირი (მე-3 გვერდი).
მივაწოდოთ მეტი ჯართი მეტალურგიას (მე-3 გვერდი).
ახალი სასწავლო წლისათვის მზადების გაფაფუჭებული დღეები (მე-3 გვერდი).
წერილები რედაქციას. — ერთი საყურადღებო საკითხის შესახებ. საქმე, რომელიც უნდა მოგვარდეს. მოვემსახუროთ სოფლებს ავტობუსით (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მეჯი ღითონისათვის, აჩსებული რეზერვების სრულად გამოყენებისათვის

ძიმე მრეწველობაში, რომელიც ჩვენი ეკონომიკის, მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების საფუძველთა საფუძველია, შავ მეტალურგიას წამყვანი ადგილი უკავია. შავი მეტალურგიის შეუფერხებელი, გამართული მუშაობა ნიშნავს ძმიმე ინდუსტრიის ყველა დარგის შემდგომ განუხრელ აღმავლობას. ფართო მოხმარების სასურსათო და სამრეწველო საქონლის გამოშვების გაფართოება, სოფლის მეურნეობის შემდგომი სწრაფი აღმავლობის უზრუნველყოფა, საბჭოთა ადამიანების მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება უშუალოდ არის დაკავშირებული მეტალურგიული წარმოების ზრდასთან, ლითონის გამოშვების გადიდებასთან.

საქართველოში ომამდე მხოლოდ ერთი მეტალურგიული საწარმო — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა გვქონდა. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუნელებელი მზრუნველობის შედეგად, მომძე საბჭოთა ხალხების, პირველ რიგში დიდი რუსი ხალხის დახმარების შედეგად რამდენიმე წლის განმავლობაში რუსთავში აგებულ იქნა ჩვენი რესპუბლიკის ინდუსტრიული სიამაყე — სტალინის სახელობის ამერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა, რომელიც უკვე მუშაობს სრული მეტალურგიული ციკლით, გვაძლევს თუჯს, ფოლადს, ნაგლინს, მთლიანნაგლინ მილებს.

ჩვენმა ახალგაზრდა მეტალურგებმა, რომლებმაც ინდუსტრიული წრთობა მიიღეს და თავიანთი პროფესიები შესწავლეს რუსეთისა და უკრაინის მეტალურგიულ ქარხნებში სახელგანთქმული რუსი და უკრაინელი ოსტატებისაგან, უნარიანად დაიწყეს მუშაობა რუსთავში, მოგვცეს თავდადებული, პატრიოტული შრომის საუკეთესო ნიმუშები. მეფოლადეები ა. ფანცულაია, ი. მეტრეველი, დგან „400“-ის უფროსი პ. წერეთელი, სახელოვანი მებრძმედეები — ვ. კობერიძე, ა. ყაზარაშვილი და სხვა მოწინავე მეტალურგები საუკეთესო მაჩვენებლებს აღწევენ მეტი ლითონისათვის ბრძოლაში.

მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ მთლიანად რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი სრულად იყენებდეს არსებულ შესაძლებლობებს. წელს პირველ ნახევარში რუსთავის მეტალურგებმა, კერძოდ მარტენის საამქროს კოლექტივმა და მგლინავებმა გეგმა ვერ შეასრულეს, ქვეყანას საჭირო რაოდენობით დააკლეს ლითონი.

მთავარი ნაკლოვანება, რაც აქვეითებს მეტალურგების შრომას, არის საწარმოო და ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევები, სუსტი ბრძოლა წუნის შესამცირებლად, მარტენის ღუმელების არასრული სიმძლავრით გამოყენება, ადგილობრივი რეზერვების უგულებელყოფა. ეს რეზერვები კი რუსთავის მეტალურგებს დიდ შესაძლებლობათა გზისაკენ მიუთითებს. ავიღოთ მაგალითისათვის ლითონის წუნის აღმოფხვრის საკითხი. ეს ისეთი რეზერვია, რომელიც რუსთავის მეფოლადეებს ჩამორჩენის დაფარვის შესაძლებლობას აძლევს. შარშან მარტენის საამქროში წუნი მთელი გამოშვებული ლითონის 3,3 პროცენტს შეადგენდა, წელს პირველ ექვს თვეში მეფოლადეებმა შეძლეს წუნის 1,9 პროცენტამდე დაყვანა, ხოლო აგვისტოს პირველ დეკადაში ეს მაჩვენებელი 1,2 პროცენტამდე იქნა შემცირებული. ეს კარგია, მაგრამ საკმარისი როდია. რუსეთისა და უკრაინის მოწინავე მეტალურგიულ ქარხნებში, მაგალითად, კუზნეცკის მეტალურგიულ ქარხანაში გამოშვებული ლითონიდან წუნი 0,6 პროცენტს არ აღემატება. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი დნობისას ლითონის დანაკარგები ჩვენთან თუ ტონებს უდრის, იქ კილოგრამებს შეადგენს.

ჩვენმა მეფოლადეებმა ვერ მიაღწიეს მარტენის ღუმელის ე. წ. კამპანიის გახანგრძლივებას, რაც აგრეთვე მეტი ლითონის მიღების მძლავრი რეზერვია. წელს ერთი კამპანიის განმავლობაში რუსთავის მეფოლადეები ახორციელებენ 220-224 დნობას. გასულ წელთან შედარებით, როდესაც დნობათა რაოდენობა 189-190-ს არ აღემატებოდა, ეს წინსვლაა, მაგრამ არასავსებით დამაკმაყოფილებელი. ცნობილია, რომ ზლატოუსტის მეტალურგიულ ქარხანაში ამონაგის გამოცალათაშორისი დნობების რაოდენობა ორჯერ და სამჯერ მეტია, ხოლო ბოლო დროს იქ განახორციელეს 895 დნობა, რაც ფოლადის წარმოების საქმეში სარეკორდო მაჩვენებლად ითვლება.

რუსთავის მეტალურგები ენერგიულად შეუდგნენ ბრძოლას არსებული რეზერვების უკეთესად და სრულად გამოყენებისათვის. ამ ბრძოლის პირველი სასიხარულო შედეგია ის, რომ აგვისტოს პირველი 13 დღის განმავლობაში რუსთაველმა მეფოლადეებმა უკვე განახორციელეს 120 ჩქაროსნული დნობა და საგრძნობლად შეამცირეს დნობის დრო.

მეტი ლითონისათვის, საუკეთესო ხარისხის ფეროშენადნობებისათვის ბრძოლა გააჩაღეს ზესტაფონელმა მეტალურგებმაც. მდნობელები — ბ. გამგებელი, ს. კვინიკაძე, ა. შარიქაძე, კ. მდივანი საუკეთესო მაჩვენებლებს აღწევენ. მაგრამ როგორც რუსთავში, ისე ზესტაფონში დაწინაურებული მეტალურგების გვერდით არიან ისეთნი, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ მუშაობენ მაღალნაყოფიერად. მოწინავეთა გამოცდილების მასობრივად დანერგვა, არსებული რეზერვების გამოვლინება და ამოქმედება მეტი ლითონისათვის ბრძოლაში ახალ მიღწევათა მოპოვების მტკიცე საწინდარია. ეს გარემოება, ეტყობა დაივიწყეს მეტალურგთა პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ამ საქმის სათავეში უნდა იყონ, შეუნელებლად ზრუნავდნენ მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებისათვის, ახალი რეზერვების გამოვლინებისათვის.

მიმდინარე წლის დასაწყისში რუსთავში დიდი ხალისით შეუდგნენ ე. წ. კომპლექსური სოციალისტური შეჯიბრების მოწყობას. კომპლექსურმა შეჯიბრებამ ხელი შეუწყო ყველა საამქროს მუშაობის გაუმჯობესებას, მაღალი მაჩვენებლებისათვის ბრძოლას. მაგრამ შემდეგ კომპლექსური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობა შესუსტდა. ამან გამოიწვია საერთო დაინტერესების მინელება, და ახლა მეფოლადეებმა აღარ იცინან, ადევნებს თუ არა საქარხნო პროფკავშირული ორგანიზაცია თვალყურს მათსა და მათი მომიჯნავე პროფესიების წარმომადგენელთა მუშაობას.

მეტალურგიული საწარმოების სამეურნეო, პარტიულმა და პროფკავშირულმა ხელმძღვანელებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ ახალი ტექნიკისა და გაუმჯობესებული ტექნოლოგიის დანერგვა, მოწინავეთა გამოცდილების მასობრივად გავრცელება, შრომის დისციპლინის განმტკიცება ის საშუალებებია, რაც შედეგად გვაძლევს შრომის ნაყოფიერების განუხრელ ზრდას, ლითონის მეტი რაოდენობით გამოშვების შესაძლებლობას. საჭიროა იმის შეგნება, რომ მეტი ლითონისათვის ბრძოლის წარმატება მარტოოდენ მეფოლადეებსა, მებრძმედეებსა და მგლინავებზე როდია დამოკიდებული. ეს დამოკიდებულია იმ საწარმოთა კოლექტივების გამართულ მუშაობაზეც, რომლებიც მეტალურგებს მადნით, ქვანახშირით, ჯართით, ფლუსებით და სხვა მასალებით ამარაგებენ, ტრანსპორტით მომსახურებას უწევენ.

შავი მეტალურგიის აღმავლობა, ლითონის გამოშვების მკვეთრი ზრდის მიღწევა დიდად არის დამოკიდებული ახალი სიმძლავრეების ამუშავებაზე. რუსთავში მეტალურგიული ქარხნის მთელი რიგი ობიექტების მშენებლობა კი შეუწყნარებლად ჭიანურდება. ამერკავკასიის მეტალურგმშენის კოლექტივმა და მათმა ხელმძღვანელებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ იმისათვის, რომ ეს ობიექტები, რომელთა აგება-დამონტაჟება მათ უკვე დამთავრებული უნდა ჰქონდეთ, უახლოეს მომავალში მაინც დაამთავრონ და ამით დახმარება გაუწიონ მეტალურგებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაჭრაში.

კომპლექსური სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც უკრაინელმა მეტალურგებმა წამოიწყეს, მეტალურგიული მრეწველობის „ზურგისა“ და „ფრონტის“ შეწყობილობის მიღწევის საუკეთესო საშუალებაა. საჭიროა ახალი ძალით გავაჩაღოთ რესპუბლიკის მეტალურგიულ საწარმოებში კომპლექსური სოციალისტური შეჯიბრება მეტი ლითონისათვის, არსებული რეზერვების სრულად გამოყენებისათვის.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. კ. კ. დიჯულისის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ამხ. კ. კ. დიჯულისის დაბადების სამოცი წლისთავის გამო და რევოლუციურ მოძრაობაში მისი აქტიური მონაწილეობის აღსანიშნავად ამხ. კაროლის კრისტაპის-ძე **დიჯულისი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1954 წ. 17 აგვისტო.

ჩვენს დიად სამშობლოში

★ ★ ★

რკინის მაღნის შახტების მშენებლობაზე

კრივოი როგი, (საკადესი). კრივოი როგის აუზში შენდება შვიდი ახალი შახტი. ოთხი მათგანი მწყობრში ჩადგება წელს. ყველა შახტი უახლესი ტექნიკით იქნურვება. მადნის ამოღების, გადაზიდვისა და დატვირთვის პროცესები სავსებით მექანიზებული და ავტომატიზებული იქნება.

ძერჟინსკის სახელობის სამადნეში შენდება „საკსაგანის“ შახტი, რომელსაც ექნება 20-ტონიანი ამწეები. გვირაბებს შორის კავშირისათვის სხვადასხვა სიღრმეზე კეთდება სამგზავრო და სატვირთო ლიფტები. ყველა მექანიზმის მართვა ავტომატიზებული იქნება. მაღროელები აქ იშუშავებენ მხოლოდ მოწყობილობის გამართვასა და მათს მოვლაზე.

ახალი შახტების შენებლობა წარმოშვებს ინდუსტრიული მეთოდებით, მაღალი წარმადობის ტექნიკის გამოყენებით. შახტის ზედაპირზე შენობებს დიდი ბლოკებისაგან აგებენ. გვირაბები გაჟაჟავთ მთელ პროექტირებულ სიღრმეზე.

გუშინ ილიჩის სახელობის სამადნეს ახალი შახტის მშენებლობაზე მუშაობა დაიწყო გვირაბსაბურღავმა მანქანამ. საათში მას გაჰყავს სამი მეტრი გვირაბი.

მეშახტის დღის შესახვედრად

ვოროშილოვგრადი. ტრესტ „სვერდლოვუგოლში“ მოწინავე № 6 შახტ „ცენტროსოიუზის“ მაღაროელები მეშახტის დღეს დიდი საწარმოო წარმატებებით ხვდებიან. ვადაზე მეექვსე თვით ადრე მიღწეულია საწარმოს საბრიგადო სიმძლავრე. წლის დამდეგიდან დაგალების გადამეტებით ამოღებულია 17 ათას ტონაზე მეტი ანტრაციტი.

შახტში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია. ამის შედეგად მაღაროელები უფრო სრულად იყენებენ სამუშაო დროს. მაგალითად, მნგრეველ-მტვირთავთა შრომის ნაყოფიერება ერთნახევარჯერ გადიდდა.

შახტში ახალი კონვეიერის დადგმამ, ყველა სამანეკრო ოპერაციის მექანიზაციამ, ავტომატური ისრიანი გადამყვანების დარგვამ და მთელმა რიგმა სხვა გაუმჯობესებამ შესაძლებელი გახადა ათობით ადამიანი დამხმარე სამუშაოდან ძირითადზე — სანგრევებში გადაეყვანათ.

ანტრაციტის თვითეული ტონის თვითღირებულება ახლა მნიშვნელოვნად ნაკლებია გეგმით გათვალისწინებულზე. წლის დამდეგიდან შახტმა 10 მილიონი მანეთი დაგროვება მიიღო.

სევერო-ზადონსკი (მოსკოვის ოლქი). „დიდი აღფრთოვანებით შრომობენ ამ დღეებში ტრესტ „კრასნოარმეისკუგოლის“ № 32 შახტის მაღაროელები.

№ 6 უბანზე, რომელსაც ი. ბორისოვი ხელმძღვანელობს, სადღეღამისო დავალება ყოველდღე 20-25 პროცენტის გადაჭარბებით სრულდება. თვის დამდეგიდან აქ გეგმის გადამეტებით ამოღებულია ათასი ტონა სათბობი. ყველა მუშა მნიშვნელოვანი გადამეტებით ასრულებს ნორმებს, ცალკეულ დღეებში თვითეული მათგანი ნორმით გათვალისწინებული 9,8 ტონის ნაცვლად იღებს 19 ტონამდე ქვანახშირს. ასევე მაღალნაყოფიერად შრომობენ მაღაროელები № 7 უბანში, რომლის მეთაურია ტ. ლავრიჩენკო.

გუშინ შახტის მისასვლელი ლიანდაგებიდან გაიგზავნა 35-ე ეშელონი სათბობი, რომელიც გეგმის გადამეტებით ამოღებულია წლის დამდეგიდან.

17 აგვისტო (საკადესი).

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

17 აგვისტოს ბევრი ექსკურსანტი გაემართა ყაზახეთის სსრ პავილიონში. ამ რესპუბლიკაში შეძენილია ახალი მიწების ათვისების დიდი გამოცდილება. აკმოლინსკის ოლქის კრასივენსკის მტს-ის სტენდთან შეგროვდა ალტაის მექანიზატორთა დიდი ჯგუფი.

— ძალიან გთხოვთ უფრო დაწვრილებით გვიამბოთ ამ მტს-ის გამოცდილებაზე, — ეუბნებიან ისინი ექსკურსიამძღოლს.

ექსკურსიამძღოლს მოჰყავს საინტერესო ცნობები კრასივენსკის მტს-ის მუშაობის შესახებ. სადგური წლითიწლობით გადაჭარბებით ასრულებს კოლმეურნეობებში ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების გეგმას. 1952-1953 წლებში, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული ოთხნახევარი ათასი ჰექტარისა, აქ მოიხნა ათი ათას ჰექტარზე მეტი ყამირი და ნასვენი მიწები. წელს გეგმით გათვალისწინებული 30 ათასი ჰექტარიდან უკვე ათვისებულია 25 ათასი ჰექტარი.

— ხომ არ არიან აქ ყამირი მიწების ათვისების რაიონებიდან მოსული ამხანაგები? — ჰკითხა ვიღაცამ ექსკურსიამძღოლს, — კარგი იქნებოდა თვითონ მათთვის მოგვესმინა.

კითხვას ერთბაშად რამდენიმე კაცი გამოეხმაურა. ექსკურსანტები მჭიდროდ შემოეხვივნენ მათ. ლაპარაკობს ალექსი მიხეილის-ძე ცოცორინი. პარტიის მოწოდებით იგი წელს გაზაფხულზე გაემგზავრა ყაზახეთის პავლოდარის ოლქში, სადაც ყამირ მიწებზე შეიქმნა მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობა „უკრაინსკი“. იგი მუშაობს ტრაქტორისტად. გაზაფხულზე თავის შემცველთან ერთად მან „ს-80“ მარკის ტრაქტორით მოხნა 377 ჰექტარი ყამირი, ხოლო გამოფენაზე წამოსვლის წინ დაამთავრა თითქმის 3 ათასი ჰექტარის დაფარცხვა.

— როგორ ცხოვრობთ? — დაინტერესდნენ ექსკურსანტები.

— ჯერჯერობით კარვებში მოვეწყეთ. ცენტრალურ ეზოში ძმდინარეობს სახლების მშენებლობა. ბევრი ოჯახებიანად ჩამოვიდა. დღეს მივიღე ცოლის დეპეშა. იგი უკვე გაემგზავრა ბავშვებიანად საბჭოთა მეურნეობაში. ერთად ვიმუშავებთ. დრო შეუმჩნევლად გადის. ასე მგონია, ეს არის ახლა გავავლეთ პირველი კვალი, ახლა კი მინდვრებში მოსავალი უკვე შემოვიდა.

ყამირი მიწებიდან ჩამოსულ სტუმრებს გამოფენაზე დიდ ყურადღებას აქცევდნენ. მაგრამ ბევრი რამ საგულისხმო შეიძინეს ამათაც საუკეთესო კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების გამოცდილების გაცნობით.

პავილიონში „საბჭოთა მეურნეობანი“ იყო 45 ექსკურსია ალტაის მხარიდან, ყაზახეთიდან, კურგანის, ტიუმენის, ამურისა და სხვა ოლქებიდან. მათ აინტერესებდათ ჩელიაბინსკის საბჭოთა მეურნეობა „პეტროპავლოვკის“ სტენდი. ამ საბჭოთა მეურნეობამ მარცვლეულის უხვი მოსავალი მოიყვანა ყამირის დიდ ფართობებზე.

პავილიონში „სოფლის მეურნეობის მექანიზაცია და ელექტროფიკაცია“ ექსკურსანტები განსაკუთრებული ყურადღებით ათვალიერებდნენ მანქანებსა და იარაღებს, რომელსაც ყამირი და ნასვენი მიწების სახნავად იყენებენ.

გამოფენის მნახველთა შთაბეჭდილებანი საქართველოს პავილიონის შესახებ

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ურალიდან ჩამოვედი. შვებულების დროს ვინახულე საქართველო, ვიყავი თბილისში, ვნახე, როგორ შრომობენ ადამიანები თავიანთი სამშობლოს საკეთილდღეოდ. საქართველოს სსრ პავილიონში ნათლად დავინახე, რა მდიდარია ეს რესპუბლიკა, რა დიდია მისი კოლმეურნეობების მიღწევები, რა მადლიანია ეს მხარე. ვუსურვებ მას წარმატებას შრომაში.

მასწავლებელი ფედორინა.

საქართველოს სსრ პავილიონის ნახვის დროს ჩვენ, კურსკის ოლქის ობოიანსკის საბჭოთა მეურნეობა „პლოდოპიტომნიკის“ მეხილეები, დაგვაინტერესა კვირტებით მყნობის ტექნიკამ გოგუაძის მეთოდის მიხედვით. კარგი იქნებოდა ეს მეთოდი პრაქტიკულად ყოფილიყო ნაჩვენები გამოფენაზე.

არტიუხოვი, სოტნიკოვი.

ყოჩაღ ქართველებო! რა მრავალფეროვნად წარმოდგენილია თქვენი ექსპონატები პავილიონში. კარგია, რომ სამხრეთის სუბტროპიკული კულტურები ბაღში გაქვთ და ჩვენ, სსრ კავშირის ევროპული ნაწილის შუა ზოლის მცხოვრებლებს, შესაძლებლობა გვაქვს გავეცნოთ მათ უშუალოდ ნატურით.

ლესოგორსკის რაიონის კოროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ტიხვინის რაიონის კოლმეურნეობა „სმიჩკას“ აგრონომი და სხვ.

საქართველოს სსრ პავილიონი განსაკვირვებელია თავისი ექსპონატების სიმდიდრითა და ლამაზი კომპოზიციით. ვუსურვებთ მომმე საქართველოს რესპუბლიკის მშრომელებს შემდგომ წარმატებებს ბედნიერი ცხოვრების აშენებაში.

უკრაინის სსრ ეიტომირის ოლქის დელეგატები — მიწათმოქმედ ი. მ. სარნაცკი, აგრონომი ი. პ. შულგა, აგრონომი ნ. ტ. სავენკო.

კომბაინერები ყამირ მიწებზე გაემგზავრნენ

დონის როსტოვი, 14 აგვისტო. (საკადესი). გუშინ სალხკის, ზიმოვნიკოვსკა და რეგონტნაიას სადგურებიდან აღმოსავლეთ რაიონებში წავიდა 16 კომბაინით დატვირთული უკანასკნელი ვაგონები, რომლებიც დონის კოლმეურნეებმა გაგზავნეს დახმარების წესით, როსტოვის ოლქის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა ყამირი მიწების ათვისების რაიონებში მოსავლის ასაღებად გაგზავნეს 1.928 კომბაინი — მთავრობის მიერ დაწესებულ დავალებაზე 50 მანქანით მეტი. კომბაინების ყველაზე მეტი რაოდენობა — 958 მანქანა გაიგზავნა ნოვოსიბირსკის ოლქში. მოსავლის ასაღები ასობით მანქანა გაიგზავნა ალტაის მხარეში, კუსტანაის, კოკჩეტავის, პავლოდარისა და ტიუმენის ოლქებში.

გუშინვე ყამირ მიწებზე გაიგზავნა ორასამდე სატვირთო ავტომობილი. სულ როსტოვის ოლქმა მარცვლეულის გადასაზიდად აღმოსავლეთ რაიონებში უკვე გაგზავნა 875 სატვირთო მანქანა ზოფერებიანად. ახლა გასაგზავნად ამზადებენ უკანასკნელ პარტიას — 125 ავტომანქანას, რომლებსაც როსტოვის საწარმოები გზავნიან.

მშენებლობა პულკოვოში

ლენინგრადი, 17 აგვისტო. (საკადესი). 19 აგვისტოს სრულდება 115 წელიწადი პულკოვოს ასტრონომიული ობსერვატორიის გახსნის დღიდან. ობსერვატორიის კოლექტივი ამ თარიღს ხვდება ხელახლა აგებულ შენობებში.

ასტრონომების სამეცნიერო ქალაქი პულკოვო კვლავ ფართოვდება. გაჩაღდა ობსერვატორიის მეორე რიგის შენებლობა, რომლისთვისაც ასიგნებულია 20 მილიონი მანეთი. მთავარი შენობის დასავლეთი კორპუსის ახლოს საფუძველი ჩაეყარა და შენდება ახალი ასტროფიზიკური ლაბორატორია. მისი ძირითადი ამოცანა იქნება იმ სხვადასხვა ნივთიერებათა საკვლევის შესწავლა, რომლებიც ვარსკვლავებისა და პლანეტების ატმოსფეროებში გვხვდება. უახლესი მოწყობილობა შესაძლებელს გახდის უშუალოდ ლაბორატორიაში შეიქმნას ასეთ ნივთიერებათა შესწავლის პირობები. აქ შეიქმნება მაღალი ტემპერატურები და მოხდება გაზების დიდი გათხევება. ამას ჩაიღწევენ 100-მეტრიანი გაზის მილით, რომელიც მიწაში გადის, აგრეთვე დიდტემპერატურიანი ღუმელის დახმარებით.

მთავრდება ახალი კოშკის მშენებლობა, საიდაც დაწყებულია მონტაჟი ვარსკვლავების ფოტოგადასაღები 26-დიუმიანი რეფრაქტორისა, რომელიც ასეთი ტიპის ყველაზე დიდი ინსტრუმენტია სსრ კავშირში. ამოყვანილია რადიოასტრონომიის ლაბორატორიის ორსართულიანი ქვიტკირის შენობის კედლები. შენდება მთელი რიგი შენობები პულკოვოს დროის სამსახურისათვის. ახალი სამეთვალყურეო კოშკები და ლითონის გუმბათიანი პავილიონები შენდება აგრეთვე სხვა სამსახურებისათვის.

ასი საუკეთესო ხარისხის კვების საწარმო

„საუკეთესო ხარისხისა და შრომის მაღალი ნაყოფიერების საწარმოს“ წოდება მიეკუთვნა მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვის, ლვოვის, ზაპოროჟიესა და სხვა ქალაქების სასურსათო საქონლის მრეწველობის ასზე მეტ ქარხანასა და ფაბრიკას.

ეს სპატიო წოდება მიეკუთვნა მოსკოვის ხრუშჩოვის სახელობის პურის ქარხანას. საწარმო სისტემატიურად უშვებს მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქციას. მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა გაფართოეს ასორტიმენტი მაღალი ხარისხის ნაწარმის გამოშვების გადიდებით.

საუკეთესო ხარისხის საწარმოებად გამოცხადებულია საკონდიტრო ფაბრიკები „კრასნი ოკტიაბრი“ და „უდარნიცა“.

„საუკეთესო ხარისხისა და შრომის მაღალი ნაყოფიერების საწარმოს“ წოდება მიეკუთვნა აგრეთვე ლენინგრადის კრუპსკაიას სახელობის საკონდიტრო ფაბრიკას, ხარკოვისა და პოლტავის ცხიმკომბინატებს, ქუთაისის საკონსერვო ქარხანას და სხვ. (საკადესი).

ახალი გამაუხვებელი ფაბრიკა

ტომუსინსკი (კემეროვოს ოლქი), 17 აგვისტო. (საკადესი). აქ დამთავრდა კუზბასში ყველაზე მძლავრი გამაუხვებელი ფაბრიკის მშენებლობა. იგი აღჭურვილია უახლესი საბჭოთა ტექნიკით და მუშაობს სველი გაუხვების პრინციპით. ახალი მეთოდი პნევმატიკურ ხერხთან შედარებით, რასაც სხვა ფაბრიკებში იყენებენ, შესაძლებელს ხდის მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს კოქსადი ქვანახშირების გაუხვების ხარისხი. მტვრის სრული ლიკვიდაცია ამსუბუქებს შრომის პირობებს.

ახალი საწარმო აშენდა დაბა ტომუსინსკის ახლოს. ხუთი წლის წინათ აქ იყო კუზნეცკის ალა-ტაუს ერთ-ერთი ყველაზე მიყრუებული ტაიგის ადგილი, ახლა ქალაქში განუწყვეტლივ შენდება ლამაზი მრავალსართულიანი შენობები, ფართო პროსპექტები, მოედნები, პარკები. უკვე აშენდა საცხოვრებელი სახლების რამდენიმე უბანი, საშუალო სკოლა, საბავშვო ბაღი, ბაგები, საავადმყოფო.

საადრეო ჯიშების ყურძნის კრეფა

იალტა, 18 აგვისტო. (საკადესი). ყირიმის სამხრეთ ნაპირის საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა ყურძნის კარგი მოსავალი მოიყვანეს.

საადრეო ჯიშების ყურძნის კრეფა პირველებმა დაიწყეს საბჭოთა მეურნეობების „ლივადიის“ და „გურზუფის“ კოლექტივებმა, აგრეთვე სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელმა.

უახლოეს დღეებში ყირიმელი მევენახეები ახალი მოსავლის ყურძენს გგზავნიან მოსკოვში, ლენინგრადში და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში.



მოსკოვი. სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. სურათზე: საქართველოს სსრ პავილიონში მნახველები ათვალიერებენ ექსპონატებს.

ფოტო ვ. მასტიუკოვისა (საკადესის ფოტოქრონიკა).

ფართოდ დავნერგოთ გამოფენის მონაწილეთა გამოცდილება

გამოვიყენებთ მიღებულ გამოცდილებას

შედიხართ სოფელში საავტომობილო გზით და გული სიხარულით გევსებათ. ყველგან — მარჯვნივ თუ მარცხნივ — ზღვასავით გადაშლილა ახალსოფელელთა ნაამაგარი. ყველაფერში ჩანს კოლმეურნეთა მზრუნველი ხელი, მათი შრომითი მამაცობა. ამაზე მეტყველებს ჩაის ხავერდოვანი პლანტაციები, ნაყოფით ტოტებდახრილი ტუნგოს ხეები, უხვად დატაროებული სიმინდი...

მთებს რომ სინათლე გადმოადგება და ირიყრიებს, ამ დროს ახალსოფლის შარაგზაზე ხმაური და ფუსფუსი იწყება. მთელი სოფელი იღვიძებს — გულმხიარული კოლმეურნეები კალათებით ხელში სწრაფად და ცოცხლად მიეშურებიან ახავერდებული პლანტაციებისაკენ. მათი საზრუნავია მოასწრონ მოზღვავებული ჩაის ფოთლის მოკრეფა.

სამუშაო დამთავრდა. ქალები და მამაკაცები, მოხუცები და ახალგაზრდები მიიჩქაროდნენ საერთო კრებაზე. ისინი აქ მივიდნენ პირდაპირ მინდვრიდან, სადაც დილიდანვე თავდადებით მუშაობდნენ, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, მეტი საკოლმეურნეო დოვლათის დაგროვებისათვის.

დაიწყო კოლმეურნეთა საერთო კრება. კრების თავმჯდომარემ პ. ყუფუნიამ მოხსენებისათვის სიტყვა მისცა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეს, ორგზის სოციალისტური შრომის გმირს ზრიგადირს თამარ ყუფუნიას, რომელსაც კრების გახსნამდე ცალკეულ კოლმეურნეებთან გაცხოველებული საუბარი ჰქონდა.

— ყველაფერი რომ გიამბოთ, — ამბობს ამხ. ყუფუნია, — ჩვენი კრება ალბათ ხვალ ამ დრომდე გასტანს. არც შეიძლება სიტყვით იმის გადმოცემა, რაც მოსკოვში ვნახეთ. პირველ დღეს თვალები ჩემდაუნებურად ყოველი კუთხისაკენ მიმირბოდა. ყოველი პავილიონი, ყოველი ექსპონატი ერთიმეორეზე უკეთესია.

ამხ. ყუფუნიას უბის წიგნაკი სავსე აქვს ძვირფასი ჩანაწერებით, რომლებსაც მოხსენების დროს ხშირად იშველიებს ხოლმე. — მნახველები, — განაგრძობს მომხსენებელი, — შეიდოდნენ რესპუბლიკების, მხარეების, ავტონომიური რესპუბლიკების ზონალურ და სპეციალურ პავილიონებში. გამოფენამ დაგვანახვა, თუ რას წარმოადგენს საკოლმეურნეო სოფლის გამარჯვება. სტუმართა ჯგუფთან ერთად შევედით საქართველოს სსრ პავილიონში.

ჩვენს პავილიონში მისვლისას ვნახეთ ჩაის პლანტაცია. აქვე იყო პროფესორ ქსენია ბახტაძის, ჩაის მოსავლის ოსტატის, სოციალისტური შრომის გმირის, მახარაძელი დარეჯან ტაკიძის, ჩაის უხვი მოსავლის ოსტატის, სოციალისტური შრომის გმირის, გალელი ნათელა ბულისკერიას სურათები. მათთან ერთად ჩემი სურათიც იყო. აქვე იყო ციფრები იმ მაჩვენებლებისა, რომლებიც ჩვენს ბრიგადას აქვს ჩაის ფოთლის მოსავლიანობის საქმეში.

გამოფენის ყველა მონაწილე და ექსკურსანტი დიდი მონდომებით ათვალიერებდა საქართველოს პავილიონს. მათ ინტერესებდათ ჩაის საქმეში ჩვენი მიღწევების საიდუმლოება. გამოფენაზე შეშოვიდა რუმინელ ქალთა ჯგუფი. ათვალიერებდნენ ჩვენს პავილიონს. ეტყობოდათ მოეწონათ, და შემდეგ იკითხეს:

— შეიძლება თუ არა გვიჩვენოთ ყუფუნია?

რუმინელებს უთხრეს, რომ ჩემი ნახვა ადვილი იყო, და იქვე გამაცნეს ისინი.

ერთმა რუმინელმა ქალმა მკითხა: თქვენა ხართ ყუფუნია?

პასუხიც ვერ მოვასწარი, იქვე გადავეხვიეთ ერთმანეთს. თურმე ეს ქალი ყოფილა რუმინეთის ქალთა დემოკრატიული კომიტეტის თავმჯდომარე სტელა ენესკუ. ჩვენ თარჯიმანი არც კი დაგვჭირებია, რადგან სტუმარი ქალი რუსულად კარგად ლაპარაკობდა: ერთმანეთი ძველი მეგობრებივით მოვიკითხეთ. შემდეგ ისინი შემეკითხნენ:

— როგორ ახერხებთ ჰექტარზე 14.800 კილოგრამი ჩაის მიღებას, როგორ მიაღწიეთ ასეთ უხვ მოსავალს?

მე ვუპასუხე, საბჭოთა ქვეყანაში ასეთი ბრონეული რეკორდების მიღწევა ყველას შეუძლია-მეთქი. შემდეგ ვუამბე, რომ ჩვენში შრომა ღირსების საქმეა. ჩვენ ბრწყინვალე მომავალს ვიშენებთ, და ეს აღგვაფრთოვანებს ახალი და ახალი მიღწევებისათვის. ამის შემდეგ სტელა ენესკუს ხელი გადავხვიე და ჩაის პლანტაციისაკენ წავედით. აქ რუმინელ ქალებს ჩაის კრეფის საკუთარი მეთოდი ვუჩვენე. აგრეთვე გავაცანი ჩაის მოსავლიანობის გადიდების ხერხები და მეთოდები. ისინი ჩემი საუბრით დიდად კმაყოფილი დარჩნენ. მე მათ ვთხოვე ზუგდიდში ჩამოვიდნენ. მათაც მოხოვეს, რუმინეთში გვესტუმრეთ, მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ წერილი მოგვწერეთო.

შემდეგ ამხ. ყუფუნია ამბობს: — გამოფენაზე შიღებული გამოცდილებით დავრწმუნდი, რომ ჩვენს კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ არ ვიყენებთ ყველა შესაძლებლობას სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გასადიდებლად, მეცხოველეობის განსავითარებლად. კოლმეურნეობაში სეზონში საშუალოდ ძლივს ვიღებთ 400 კილოგრამ რძეს — გამოფენაზე კი ჩემი თვალით ვნახე ისეთი ძროხები, რომლებიც დღეში 30-40 კილოგრამ რძეს იძლევიან. ომსკის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ომსკში“, რომელსაც 500 ძროხა ჰყავს, წელიწადში თვითეული 5.485 კილოგრამს იწველის. იქ ამას მიაღწიეს პირუტყვის კარგი კვებისა და მოვლის, ჯიშიანობის გაუმჯობესების გზით.

გამოფენაზე თავისი გამოცდილების შესახებ გვესაუბრა მოსკოვის ოლქის ლენინის რაიონის კოლმეურნეობის „პუტ კ კომუნიზმუ“ ფერმის მწველავი ქალი სოციალისტური შრომის გმირი ა. ბარანინა.

წინადადება შემომაქვს ამხ. ბარანინას გამოცდილება ჩვენს კოლმეურნეობაში დავნერგოთ. კერძოდ, გავითვალისწინოთ საკვების მრავალფეროვნება ძროხების ბაგური შენახვის დროს, მეწველ ძროხებს მეტი რაოდენობით ვაძლიოთ წვნიანი საკვები. არც კონცენტრირებული საკვების მიცემა დავიწყოთ — როგორც ცხიმიანობის პროცენტის მომატების წყარო. ბაგური შენახვისას ძირითად საკვებად გამოვიყენოთ თივა, სილოსი, ჭარხალი, კოპტონი, ქატო და საჭმელი მარილი. მარილი უნდა მივცეთ გაალოებულ საკვებთან ერთად. ძროხას მუდამ უნდა ედოს ქვამარილი, რომელსაც სურვილისამებრ ლოკავს.

ჩვენს კოლმეურნეობაში კვების წინ საკვების შემზადება არ წარმოებს. იქ კი კვების წინ საკვების შემზადებას დიდ მნიშვნელობას აძლევენ — მისი სრულად მონელებისა და შეთვისების მიზნით. კოლმეურნეობაში უნდა შემოვიღოთ აგრეთვე ძროხების სადღეღამისო ძოვება. ეს მნიშვნელოვნად გაზრდის წველადობას.

ყველა შესაძლებლობას არ ვიყენებთ მარცვლეულის მოსავლიანობის გასაადიდებლად. ჩვენ ჰექტარზე მოგვყავს 20-22 ცენტნერი სიმინდი. ეს არსებულ შესაძლებლობასთან შედარებით ცოტაა. გამოფენის ერთ-ერთ კუთხეშია მარცვლეულის მოსავლის მაჩვენებლები. ჰექტარზე მიღებულია 70-100 ცენტნერი სიმინდი. ჩვენცა გვაქვს ამის შესაძლებლობა. მაგრამ ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ ახალ პროგრესულ მეთოდს — სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივად თესვას. წინადადება შემომაქვს ფართოდ დაინერგოს კოლმეურნეობაში მოსავლიანობის გადიდების ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება.

ჩაი ჩვენი კოლმეურნეობის შემოსავლის ძირითადი წყაროა. მოსკოვში დავრწმუნდი, რომ ჩვენ ჩაის მოსავლიანობის გადიდების კიდევ ბევრი შესაძლებლობა გვაქვს, საჭიროა ყოველ ბუჩქს მივუდგეთ ინდივიდუალურად. კოლმეურნეობაში დღემდე ყველაფერს არ ვაკეთებთ იმისათვის, რომ ზრდაში ჩამორჩენილი ბუჩქები გაუთანასწორდეს ძლიერებს. სასუქის შეტანისას უნდა გავითვალისწინოთ ბუჩქების ხნოვანება.

მოხსენების შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ მერგოლური ს. ექონია, პარტორგანიზაციის მდივანი ა. ჯოჯუა, კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ნანავა და სხვები. მათ პირობა დაიდეს, რომ ამხ. ყუფუნიას მიერ მოსკოვში მიღებულ გამოცდილებას ფართოდ დანერგავენ კოლმეურნეობაში.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა პარტიის ზუგდიდის რაიკომის მდივანმა ამხ. შ. ჩილაჩავამ.

კოლმეურნეთა კრებამ დაადგინა: მოვისმინეთ რა ამხ. თ. ყუფუნიას მოხსენება გამოფენაზე მიღებული გამოცდილების შესახებ, ჩვენ, ზუგდიდის რაიონის სოფელ ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები, პირობას ვიძლევთ ფართოდ გამოვიყენოთ მოსკოვში გამოფენაზე მიღებული გამოცდილება, განვავითაროთ საკოლმეურნეო მეცხოველეობა, გავადიდოთ ჩაის, სიმინდის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა.

ფართოდ დავნერგოთ სიმინდის თესვის კვადრატულ-ბუდობრივი წესი, მეცხოველეობაში პროდუქტიულობის გადიდების მიზნით გამოვიყენოთ პირუტყვის ბაგურ-ბანაკური მოვლა-შენახვის გამოცდილება, მოვაწყოთ ხბოების ხელზე კვება, მწვანე კონვეიერი, საკვები თესლბრუნვა. დავთესოთ 20 ჰექტარი საკვები ჭარხალი, პირუტყვისათვის ავაშენოთ კეთილმოწყობილი ბინები და განვახორციელოთ ფერმის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია. ჩაის ფოთლის მოსავლიანობა ჰექტარზე საშუალოდ ავიყვანოთ 6.000 კილოგრამამდე, ნაცვლად 5.000-სა. წელს, ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 515 ათასი კილოგრამისა, მოვკრიფოთ 550 ათასი კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, უდანაკარგოდ ავიღოთ სიმინდის მოსავალი — ჰექტარზე საშუალოდ 30 ცენტნერი ნაცვლად 22-სა.

კრება დამთავრდა. კოლმეურნეები სახლებში დაბრუნდნენ მტკიცე გადაწყვეტილებით — ახალი ენერგიით იმუშაონ ნაკისრ ვალდებულებათა სახელოვნად შესრულებისათვის, თავიანთი კოლმეურნეობის შემდგომი წინსვლისა და აყვავებისათვის.

შ. ჯოჯუა,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

გ. ნოდია,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

სურათზე: ბრიგადირი მეჩაიე, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი თამარ ყუფუნია (მარცხნივ) ესაუბრება კოლმეურნეებს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მიღებული გამოცდილების შესახებ. ფოტო ბ. დგებუაძისა.

პრესის მიმოხილვა

ეროვნებათა მიღწევებზე [illegible]

ალავერდი ერთ-ერთი მოწინავე სოფელია ზესტაფონის რაიონში. აქაურმა კოლმეურნეებმა ფართოდ გაითქვეს სახელი ყურძნის უხვი მოსავლის მოყვანით. ბევრ მათგანს მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის წოდება. ალავერდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მოვენახეობის განვითარებაში მოპოვებული წარმატებებისათვის. ამ კოლმეურნეობის მოწინავე მევენახეთა გამოცდილების პროპაგანდის საქმეში დიდი როლი აკისრია რაიონულ გაზეთ **„ლენინელს“.** მისი უშუალო მოვალეობაა ხელი შეუწყოს ამ კოლმეურნეობის მოწინავეთა შრომის გამოცდილების დანერგვას სხვა კოლმეურნეობებში.

12 მაისის ნომერში გაზეთმა მთელი გვერდი დაუთმო ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მუშაობის ამსახველ მასალებს. აქვეა დაბეჭდილი მოწინავე მევენახის ვ. კვანტრიშვილის წერილი თავისი მუშაობის გამოცდილებაზე. როგორც იგი წერს, მას მოსავლელად მიჩენილი აქვს 0,5 ჰექტარი ვენახი. ყველა აგროტექნიკური ღონისძიების გატარების შედეგად მან გასულ წელს ამ ფართობზე 70 ცენტნერი ყურძენი მიიღო, წელს კი 100 ცენტნერს მოელის.

კარგად მოიქცა გაზეთი, ამ მოწინავე კოლმეურნეობის წარმატებათა ამსახველი მასალები რომ გამოაქვეყნა. გაზეთი სხვა ნომრებშიც ფართოდ წერს რაიონის მევენახეების საქმიანობაზე, ამხილებს ნაკლოვანებებს, სახავს კონკრეტულ ამოცანებს მათი აღმოფხვრისათვის. ეს, რა თქმა უნდა, კარგია. მაგრამ მან უკეთ უნდა იმუშაოს მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელებისათვის. მისასალმებელია, რომ გაზეთმა დაბეჭდა მტს-ის აგრონომის კ. ხარატის წერილი, რომელშიც ის რაიონის კოლმეურნეებს აცნობს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადებში შრომის ორგანიზაციის მდგომარეობას. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი მასალები ცოტა ადგილს პოულობენ „ლენინელის“ ფურცლებზე.

გაზეთ „ლენინელის“ [illegible] უშუალოდ იმ ადამიანების წერილების გამოქვეყნებას, რომლებიც საკოლმეურნეო დოვლათს ქმნიან. მოწინავე მევენახეთა მუშაობის ამსახველი მასალები არც თუ ისე ცოტა იბეჭდება „ლენინელში“, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ სრულყოფილად ვერ ასახავენ მოწინავეთა გამოცდილებას, ვერ იძლევიან მათი მუშაობის მეთოდების ღრმა ანალიზს. როგორც გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალებიდან ჩანს, ეს წერილები უმთავრესად რედაქციის მუშაკების ხელით კეთდება.

„ლენინელის“ ფურცლებზე სისტემატურად იბეჭდება კრიტიკული მასალები. მაგრამ გაზეთის ფურცლებზე ცოტა ჩანს ამ კრიტიკული გამოსვლების ქმედითობა.

მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდის მიზნით გაზეთმა თავის ფურცლებზე ფართოდ უნდა გამოიყენოს სხვადასხვა მოწინავე და ჩამორჩენილი კოლმეურნეობების მაჩვენებლების შედარების მეთოდი, უჩვენოს, ესა თუ ის კოლმეურნეობა როგორ, რა მეთოდებით აღწევს წარმატებებს. ამასთან ღრმა ანალიზი გაუკეთოს ჩამორჩენილი კოლმეურნეობების ნაკლოვანებებს, იმას, თუ რით არის გამოწვეული ეს ჩამორჩენა და როგორ უნდა აღმოიფხვრას იგი.

მოწინავე გამოცდილების ერცლად გაშუქებისათვის „ლენინელი“ მოვალეა რედაქციის მუშაობაში ფართოდ ჩაბას საკოლმეურნეო აქტივი, სოფლის მეურნეობის ნოვატორები, მოწინავე ადამიანები — კოლმეურნეები, მერგოლურები, ბრიგადირები. ეს გაზეთის გადაუდებელი ამოცანაა.

გაზეთ „ლენინელის“ რედაქციას მუშაობის დიდი ხნის გამოცდილება აქვს. ამ დღეებში იგი აღნიშნავს მე-2.000 ნომრის გამოსვლას. განვლილ პერიოდში მან საბჭოთა პრესის მუშაობის კარგი გამოცდილება შეიძინა. მაგრამ მას ჯერ კიდევ აქვს ნაკლოვანებანი, რომელთა აღმოფხვრა და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის ბრძოლა გაზეთის მთელი კოლექტივის საპატიო მოვალეობაა.

უკანასკნელი ფოსტიდან

სკოლა და სოფელი

კარგ ინიციატივას იჩენს გაზეთი **„სახალხო განათლება“,** რომელიც ამ უკანასკნელ წლებში გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით აძლევს მომძმე რესპუბლიკების პედაგოგიური გაზეთების შემცვლელ გვერდებს.

მიმდინარე წლის 8 იულისს სომხეთის სსრ პედაგოგიურმა გაზეთმა „სოვეტაკან დპროცმა“ („საბჭოთა სკოლა“) საქართველოს სკოლებში სოფლის მეურნეობის პრაქტიკასთან მოსწავლეთა დასაახლოებლად გაწეული მუშაობის პოპულარიზაციისათვის დაბეჭდა „სახალხო განათლების“ შემცვლელი გვერდი საერთო სათაურით „მომძმე საქართველოს სკოლებში“. აქ მოთავსებული მასალები სომეხ მკითხველებს აცნობენ ჩვენი რესპუბლიკის პედაგოგებისა და მოსწავლეების მუშაობას სასწავლო-საცდელ ნაკვეთებზე, საკოლმეურნეო მინდვრებზე, ბიოლოგიის კაბინეტებში. 18 აგვისტოს ნომერში კი „სახალხო განათლებამ“ მისცა სომხეთის პედაგოგიური გაზეთის შემცვლელი გვერდი.

გვერდში დაბეჭდილია ეჩმიაძინის რაიონის სოფელ არამაცის შვიდწლიანი სკოლის დირექტორის პ. ბაბაიანის, სომხეთის სსრ განათლების სამინისტროს ინსპექტორის ა. დარიბიანის, სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს სოფლის მეურნეობის განყოფილების კონსულტანტის ბ. ოვსეპიანის, ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის დირექტორის ო. ოპანესიანის და სხვათა წერილები. ეს მასალები საქართველოს განათლების მუშაკებს აცნობენ სომხეთის სსრ სკოლების მოსწავლეთა მიერ სოფლის მეურნეობის საფუძვლების დაუფლებისათვის გაწეულ მუშაობას, მოსწავლეთა საკოლმეურნეო შრომაში მონაწილეობის შედეგად მიღწეულ წარმატებებს, ბოლოგიური დისციპლინების სწავლების გამოცდილებას, იმას, თუ როგორ ინერგება იქ სოფლის მეურნეობასთან მოსწავლეთა მჭიდრო ურთიერთობა და ამით როგორ ღრმავდება მათი პრაქტიკული ცოდნა.

წერილები სასოფლო რაიკომიდან

პარტიული ორგანიზაციის ზრუნვა მეცხოველეობის აღმავლობისათვის

— ჩვენთან მევენახეობაში ყველა კოლმეურნე პროფესორია, — ღიმილით აცხადებს თელავის რაიონის სოფელ აკურის კოლმეურნეობა „მოწინავის“ თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ს. პაატაშვილი. — შარშან საშუალოდ ჰექტარზე 87 ცენტნერი ყურძენი მოვიყვანეთ, ხოლო წელს კიდევ უფრო უხვ მოსავალს მოველით. მეცხოველეობაზე კი ამას ვერ ვიტყვი. რაღა დავფარო, აქამდე ძროხების წველადობის გასაადიდებლად ძალიან ცუდად ვმუშაობდით.

მართლაც, აკურაში მეცხოველეობა ყველაზე თავმინებებული და ყველაზე ჩამორჩენილი დარგი იყო. შარშან თვითეულ საფურაეე ძროხაზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 800 ლიტრისა 540 ლიტრი რძე მიიღეს. ეს დიდი სირცხვილი და მეუფლეობელი ჩამორჩენა იყო მოწინავე კოლმეურნეობისათვის.

სამწუხაროდ, კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია ვერ იჩენდა საკმარისად თაოსნობას მეცხოველეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში. პარტბიუროს წინანდელი შემადგენლობა ნაკლებ ზრუნავდა პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესებისა და მისი პროდუქტიულობის გადიდებისათვის. პარტიულ კრებებზე და პარტბიუროს სხდომებზე ხშირად განიხილავდნენ საკითხს კოლმეურნეობაში მეცხოველეობის განვითარების შესახებ. მაგრამ საკითხის ასე საერთოდ, ზოგადად განხილვა სასურველ შედეგებს არ იძლეოდა.

პარტბიუროს მთავარი ნაკლი ის იყო, რომ მეცხოველეობაში ჩამორჩენის გამოსწორებას იგი ცდილობდა „შელოცვებით“, მრავალ დადგენილებათა მიღებით. მაგრამ, სამწუხაროდ, არც „შელოცვები“, არც დადგენილებები საქმეს არ შველოდა.

ასე დიდხანს არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. ნოემბერში პარტბიუროს შემადგენლობა გადაახალისეს. პარტიული ორგანიზაციის მდივნად მოწინავე ბრიგადირი ავქსენტი ქევხიშვილი აირჩიეს.

მალე თელავის მტს-ის ზონაში შეიქმნა რაიკომის მუშაკთა ჯგუფი. პარტბიუროს ახლადარჩეული მდივანი და ზონის ინსტრუქტორი გ. ხეჩოშვილი ერთად შეუდგნენ მუშაობას საკოლმეურნეო წარმოების ყველაზე ჩამორჩენილი დარგის წამოსაწევად.

იანვარში კოლმეურნეობაში მოვიდა რაიკომის მდივანი მტს-ის ზონაში ლ. საჩიშვილი.

— მოდი ერთად მოვიფიქროთ, რით დავიწყოთ, — უთხრა მან პარტბიუროს მდივანს, — რომ მეცხოველეობა კოლმეურნეობაში მოწინავე დარგი გახდეს.

მეორე დღესვე სიტყვიდან საქმეზე გადავიდნენ. მათ დაწვრილებით შეისწავლეს მეცხოველეობის ფერმების მუშაობა, გულდასმით მოეთათბირნენ პირუტყვის გამოცდილ მომვლელებს, მწყემსებს და, ბოლოს, ერთხმად გადაწყვიტეს:

— ძროხების წველადობის გასაადიდებლად უწინარეს ყოვლისა პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესებაა საჭირო.

ეს საკითხი სპეციალურად განიხილეს პარტბიუროს სხდომაზე. პარტიული ორგანიზაციის რჩევით კოლმეურნეობამ შეიძინა 23 ჯიშიანი პირუტყვი, მათ შორის 20 ძროხა. კომუნისტებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ჯიშიანი ძროხების ფერმის კეთილმოწყობაში, პირუტყვის მოვლა-პატრონობის საქმის სანიმუშოდ დაყენებაში. ორთვენახევარში თვითეულ ჯიშიან ძროხაზე უკვე მიღებულია 790 ლიტრი რძე, ანუ იმაზე 250 ლიტრით მეტი, რასაც ადგილობრივი ჯიშის ძროხა მთელი წლის განმავლობაში იძლევა.

— აგვისტოს შუა რიცხვებისათვის ჩვენი ჯიშიანი ძროხები თავიანთ წლიურ გეგმას შეასრულებენ, შემდეგ კი ადგილობრივი ჯიშის ძროხების „დასახმარებლად“ მოგვცემენ რძეს, — აცხადებს კომუნისტი ალექსი ქევხიშვილი, რომელიც პარტიულმა ორგანიზაციამ ჯიშიანი ძროხების ფერმაში სამუშაოდ გაგზავნა. წინათ მას კოლმეურნეები იცნობდნენ, როგორც მოწინავე მევენახეს, პურეულის უხვი მოსავლის ოსტატს, ახლა კი მეცხოველეობაშიც გამოიჩინა თავი. ჯიშიან ძროხებს საუკეთესო მოვლა და კვება აქვთ. ფერმაში სანიმუშო წესრიგია დაცული, მოწყობილია ელექტროგანათება.

— თვითეული ჯიშიანი ძროხა 15 ლიტრ რძეს და უფრო მეტსაც იწველის, — განმარტავს პარტბიუროს მდივანი.

— ამ წუთში ახალ ცნობებს მივიღებთ, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე და ტელეფონის ყურმილს ხელში იღებს.

— შემაერთე ჯიშიანი ძროხების ფერმასთან, — ეუბნება იგი ეიღაცას. მალე ტელეფონში საპასუხო ხმა ისმის.

— ალექსი, ამა ერთი გვითხარი, რომელი ძროხა იწველის ყველაზე მეტ რძეს. — ეკითხება კოლმეურნეობის თავმჯდომარე ალექსს. იგი ერთხანს უსმენს და შემდეგ მის სიტყვებს იმეორებს: ჯიშიანმა ძროხამ „გონიომ“ გუშინ მოიწველა 17 ლიტრი რძე, „ნატომ“ — 18 ლიტრი.

აკურელი კოლმეურნე-მეცხოველეები ამაყობენ ჯიშიანი ძროხების ფერმის მაღალი მაჩვენებლებით. ისინი თვალნათლივ დარწმუნდნენ, თუ რა დიდი სარგებლობა მოაქვს პირუტყვის ჯიშობრივ გაუმჯობესებას. მაგრამ მათ ესმით, რომ ის, რაც აქამდე გაკეთდა, მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. ოციოდე ჯიშიანი ძროხა 100-ზე მეტ ადგილობრივი ჯიშის ძროხაში არც ისე დიდი მიღწევაა.

მეცხოველეობა ისეთი დარგია, სადაც ხანგრძლივი, მოფიქრებული მუშაობაა საჭირო. ორ-სამ თვეში აქ სრულ გარდატეხას ვერ მიაღწევ. ეს კარგად იციან აკურელმა კომუნისტებმა. მათ მტკიცედ მოჰკიდეს ხელი მეცხოველეობის ჩამორჩენილი დარგის წინწამოწევას და ამ საქმეში ყოველთვე, ყოველდღიურად ახალ წარმატებებს აღწევენ.

საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია სერიოზულად მუშაობს მეცხოველეობის განვითარების საკითხებზე.

იანვარში, როცა კომუნისტები საერთო კრებაზე შეიკრიბნენ და პირუტყვის გამოზამთრების მდგომარეობის საკითხის განხილვას შეუდგნენ, ზოგიერთმა იკითხა:

— რით დავიწყოთ?

— რა თქმა უნდა, ადამიანებით, — იყო კრების მონაწილეთა საერთო აზრი. ყველაზე მოწინავე, შრომისმოყვარე და გამოცდილ კომუნისტები ვ. კანაშვილი, ი. ელიზბარაშვილი, ა. ქევხიშვილი მეცხოველეობის ფერმებში სამუშაოდ წავიდნენ. მათ მხარში ამოუდგნენ კომკავშირელები ვ. ხატიაშვილი და გ. ვარსემაშვილი.

კომუნისტი ვ. კანაშვილი მოწინავე მევენახეა, მეცხოველეობაში კი ჯერ არ ემუშავნა და ეს აეჭვებდა გამოცდილ კოლმეურნეს.

— ვაზს თვალისჩინივით უვლის. განა პირუტყვს უკეთ არ მოუვლის! — გაისმა პარტიულ კრებაზე დამაჯერებელი წამოძახილები, და საქმეც ამან გადაწყვიტა. ვ. კანაშვილმა გაამართლა პარტიული ორგანიზაციის ნდობა. ახლა იგი ისეთივე სიყვარულითა და საქმის ცოდნით მუშაობს მეცხოველეობაში, როგორც წინათ მევენახეობაში მუშაობდა.

პირუტყვის გამოზამთრების სანიმუშოდ ჩასატარებლად პარტიულმა კრებამ მეცხოველეობის ფერმებში დააწესა კომუნისტების ყოველდღიური მორიგეობა. ამ ღონისძიებამ საქმეს უშველა. მიუხედავად იმისა, რომ ზამთარი მძიმე და ხანგრძლივი იყო, პირუტყვის გამოზამთრებამ წარმატებით ჩაიარა.

დადგა გაზაფხული. მაგრამ პარტიული ორგანიზაციის ყურადღება მეცხოველეობაში არათუ შესუსტდა, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო გაძლიერდა. ფერმებში გამოცოცხლდა პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა. პარტბიუროს შეიმუშავა ღონისძიებანი მეცხოველეთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გასაუმჯობესებლად. ეს საკითხი განხილულ იქნა კომუნისტთა საერთო კრებაზე.

პარტბიუროს სერიოზული მუშაობა გასწია კრების მოსამზადებლად. პარტიული ორგანიზაციის მდივანი ა. ქევხიშვილი, ზონის ინსტრუქტორი გ. ხეჩოშვილი, კომუნისტი-მეცხოველეები გულდასმით გაეცნენ ფერმებში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობას. პირუტყვის მომვლელებთან, მწყემსებთან და [illegible] ლებთან საუბარში ბევრი რამ საინტერესო გამოირკვა, გამოითქვა მრავალი საქმიანი შენიშვნა.

პარტიულმა კრებამ მეტად ცოცხლად და საქმიან ვითარებაში ჩაიარა. მეცხოველეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს საკითხის განხილვაში. მეცხოველეობის ფერმებში აგიტატორებად გაიგზავნენ ვეტფერშალი გ. ხატიაშვილი, ვეტექიმი ვ. კავლელიშვილი. მეცხოველეებისათვის წაკითხულ იქნა საინტერესო ლექციები და მოხსენებები. ფერმებში დაიწყო „სანრძოლო ფურცლების“ გამოშვება. მეცხოველეთა შორის გაიმართა სოციალისტური შეჯიბრება. მოგვარდა მწყემსებისათვის ახალი ჟურნალ-გაზეთების მიწოდების საქმე.

გავიდა რამდენიმე ხანი. პარტბიუროს სხდომაზე განიხილეს პირუტყვის საკვების დამზადებისათვის მზადების საკითხი. საკვებმომპოვებელ ბრიგადას სათავეში ჩაუდგა კომკავშირის კომიტეტის მდივანი ზ. ქევხიშვილი. ბრიგადამ ვადამდე დაამთავრა ბალახების თიბვა. გალეწილი ნამა მთლიანად შეგროვებული და დაზვინულია პირუტყვის სადგომებთან. გადაწყვეტილია სილოსის ჩადების გეგმა გადაჭარბებით იქნას შესრულებული.

კოლმეურნეობა აშენებს 100 სულის ტევადობის ბინას მეძროხეობის ფერმისათვის. ფერმაში მთლიანად მექანიზებული იქნება საკვების დამზადება და მიწოდება, წველა და დარწყულება. პარტიული ორგანიზაცია ყოველდღიურად ადევნებს თვალყურს მშენებლობის მიმდინარეობას. სექტემბერში კოლმეურნეობის ძროხები ახალ, ზოოვეტერინარული წესების მიხედვით მოწყობილ შენობაში იქნებიან მოთავსებული.

აკურელმა კოლმეურნეებმა ცოტა წარმატება როდი მოიპოვეს წელს მეცხოველეობის განვითარების საქმეში. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ჯიშიანი პირუტყვის რაოდენობა ძროხების საერთო შემადგენლობაში 20 პროცენტს არ აღემატება.

— ჩვენს სამრეწველო ამოცანად კვლავ რჩება ადგილობრივი ძროხების ჯიშობრივი გაუმჯობესება, — ამბობს პარტბიუროს მდივანი ა. ქევხიშვილი. — ახლა პარტიული ორგანიზაცია იმისათვის იბრძვის, რომ თვითეული საფურაეე ძროხა მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებდეს წველადობის გეგმას.

აკურელი კომუნისტების, ყველა კოლმეურნის დაუცხრომელი ზრუნვა მეცხოველეობის განვითარებისათვის მოწმობს, რომ ეს ამოცანა წარმატებით იქნება შესრულებული.

ვ. შავგულიძე.

თელავის რაიონი,
სოფელი აკურა.

აფხაზეთის მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკთა თათბირი

ამას წინათ სოხუმში შედგა აფხაზეთის სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოებისა და მშენებლობათა მუშაკების რესპუბლიკური თათბირი, რომელმაც განიხილა 1954 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულების შედეგები და მეორე ნახევრის ამოცანები. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის სამრეწველო-სატრანსპორტო განყოფილების გამგემ ამხ. გ. ჯოხოთაბერიძემ.

აფხაზეთის მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობის მუშაკები, სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარების შესახებ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ისტორიული გადაწყვეტილებით აღფრთოვანებულნი, განუხრელად ადიდებენ შრომის ნაყოფიერებას, აუმჯობესებენ პროდუქციის ხარისხს, აფართოებენ ასორტიმენტს და აღწევენ მაღალ ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლებს. მაგრამ მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარებაში მიღწეულ წარმატებებს არ შეუძლიათ შეავსონ ის სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც ჯერ კიდევ არის ბევრი სამრეწველო, სამშენებლო და სატრანსპორტო საწარმოს მუშაობაში. წლის პირველ ნახევარში გააუარესა მუშაობა ტყვარჩელქვანახშირის ტრესტმა, რომელმაც ქვანახშირის მოპოვების 6 თვის გეგმა ვერ შეასრულა. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ის საწარმოები, რომლებიც საშენ მასალებს უშვებენ. კვლავ ჩამორჩებიან სოხუმისა და გაგრის თევზის ქარხნები, ადგილობრივი მრეწველობის ზოგიერთი საწარმო.

ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მმართველმა ამხ. ა. გამხარაშვილმა აღიარა, რომ ქვანახშირის მოპოვების ტემპის შენელების მიზეზია შახტებისა და უბნებისადმი ხელმძღვანელობის შესუსტება, შრომითი და საწარმოო დისციპლინის დაბალი დონე. მთელი რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელების შედეგად ტრესტის საწარმოებში მდგომარეობა უმჯობესდება.

ადგილობრივი მრეწველობის მთელი რიგი საწარმოების ჩამორჩენის ერთერთ მიზეზს, — აღნიშნა გუდაუთის რაიმრეწკომბინატის ადგილკომის თავმჯდომარემ ამხ. ზ. შჩერბაკოვამ, — წარმოადგენს კადრების შერჩევისა და განაწილების საქმისადმი ზერელე მიდგომა აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მხრივ. საწარმოების ხელმძღვანელობად ხშირად ისეთ ადამიანებს ნიშავენ, რომლებსაც არა აქვთ სათანადო სპეციალობა. გუდაუთის რაიმრეწკომბინატის კირის ქარხანას ხელმძღვანელობს ისტორიკოსი, ხოლო ლურსმნის ქარხანას — ეკონომისტი.

თათბირის მონაწილეები ვერ დააკმაყოფილა აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის ამხ. ი. გაბისონიას, აფხაზეთის სარეწაო საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ნ. ცხომარიას და სოხუმის თევზის ქარხნის დირექტორის ამხ. ი. ხიზანიშვილის გამოსვლებმა.

თათბირმა მიიღო მიმართვა აფხაზეთის სამრეწველო, სატრანსპორტო და სამშენებლო ორგანიზაციების ყველა მუშაკისადმი წლიური გეგმის 5 დეკემბრისათვის შესრულების შესახებ და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია აჭარის ასსრ სამრეწველო-სატრანსპორტო და სამშენებლო საწარმოთა კოლექტივები.

გ. წიკლვაია,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მივაწოდოთ მეჯი ჯართი მეჯალურგებს

მეტალურგიული ქარხნების ნორმალური მუშაობა დიდად არის დამოკიდებული ლითონის ჯართით მათ შეუფერხებელ მომარაგებაზე. სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ მოიპოვებიან სამეურნეო ორგანიზაციათა ისეთი ხელმძღვანელები, რომლებიც ჯართის შეგროვების მნიშვნელობას ვერ აფასებენ. ხშირად ზოგ საწარმოში უპასუხისმგებლობა იქამდე მიდის, რომ ლითონის ნარჩენებს ბიზაში ტკეპნინან, სანაგვეზე, ხევებში, მდინარეებში ყრიან. ასეთ საწარმოთა ხელმძღვანელებს რომ ჰკითხოთ, რა სიძნელეები გიშლით ხელს მუშაობაშო, უთუოდ პირველ სიძნელედ ლითონით მომარაგების შეფერხებას დაასახელებენ და არაფერს იტყვიან იმის შესახებ, რომ თვითონ არ ზრუნავენ ლითონის ადგილობრივი რესურსების გამოყენებისათვის.

წელს ჯართის ჩაბარებას შვიდი თვის გეგმა შესრულებულია უმნიშვნელო გადაჭარბებით, მაგრამ ამავე დროს რესპუბლიკაში აღრიცხულია 49 სამეურნეო ორგანიზაცია და საწარმო, რომელთა დავალიანება მეტალურგიული ქარხნებისადმი 3.750 ტონა ჯართს უდრის.

ჯართის შეგროვება-ჩაბარებაში განსაკუთრებით ჩამორჩებიან ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო, სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა და სხვ. რესპუბლიკის ზოგ რაიონში ჯართის შეგროვებაზე კარგად მუშაობენ, მაგრამ ბევრგან ჯართის შეგროვება-ჩაბარებაში კვლავ გულგრილობას იჩენენ. მაგალითად, ზოგდაზოგის რაიონში ჯართის შეგროვება-ჩაბარების 7 თვის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 22,5 პროცენტით, ასპინძის რაიონში — 24,2 პროცენტით, ახალქალაქის რაიონში — 31,2 პროცენტით, ვანის რაიონში — 36,1 პროცენტით, ყაზბეგის რაიონში — 10.3 პროცენტით და ა. შ.

ასეთი სამარცხვინო ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად, ჯართის შეგროვება-ჩაბარების წლიური დავალების შესასრულებლად საჭიროა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების დახმარება. ჩვენ უნდა შევძლოთ განვლილ თვეებში ჩაუბარებელი ჯართის უმოკლეს დროში ჩაბარება, რათა ამით საშუალება მივცეთ ჩვენს მეტალურგებს იმუშაონ რიტმულად, მოგვცენ მეტი ლითონი ჩვენი სახალხო მეურნეობის მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

შ. ქიშმარეიშვილი,
„გლავტორჩერმეტის“ რესპუბლიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე.

მივაწოდოთ მეჯი ჯართი მეჯალურგებს

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასასვენებელი სახლი ციხისძირში.
ფოტო ნ. ანასტასიევისა.

ციხისძირში

მეტად თვალწარმტაცი და მიმზიდველია ზაფხული შავი ზღვის სანაპიროებზე. ამიტომ არის, რომ ყოველწლიურად მატულობს იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც აქაურ კურორტებზე ჩამოდიან დასასვენებლად შორეული აღმოსავლეთიდან, ციმბირიდან, შუა აზიიდან, ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხიდან.

ციხისძირი შავი ზღვის სანაპიროს ერთ-ერთი შესანიშნავი კურორტია. აქ ხუთი დასასვენებელი სახლია. ყველა საუკეთესო ადგილზეა აშენებული. მაგრამ ერთი მათგანი განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას. ეს არის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასასვენებელი სახლი. ქოქოსისა და ფინიკის პალმები, ტანაყრილი ბამბუკის ტყე, ვერცხლისფერი კრიპტომერიები, საგანგებოდ მოვლილი კამელიები და სხვადასხვა ფერის ყვავილები შესანიშნავ ელფერს აძლევენ დიდებულ შენობას. აქ ყოველწლიურად ათასობით სტუდენტი, მეცნიერი მუშაკი, პროფესორი და აკადემიკოსი ატარებს შვებულებას. ამ სეზონში 1.200-მდე ადამიანი დაისვენებს.

სეზონისათვის მოსამზადებლად მცირე მუშაობა როდი გასწია დასასვენებელი სახლის დირექციამ: დროზე დამთავრდა მოსამზადებელი სამუშაოები— ოთახების შეთეთრება, სასპორტო მოედნის მოწყობა, კლუბისა და სასადილოს რეკონსტრუქცია, აკვერის გაშენება. ყველა პირობა შეიქმნა მოაგარაკეთა კულტურული დასვენებისათვის. ფართო და ნათელი ოთახები გემოვნებით არის მორთული, დერეფნები დაფარულია ძვირფასი საფენებით, კლუბსა და დასასვენებელ ოთახებში დგას რბილი ავეჯი. დამსვენებელთა განკარგულებაშია მდიდარი ბიბლიოთეკა, რომლის წიგნის ფონდს წელს 1.500 მანეთის მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურა შეემატა.

დიდი ყურადღება ექცევა დამსვენებელთა კულტურულ მომსახურებას. ხშირად იმართება კონცერტები, თვითმოქმედი წრეების საღამოები, უჩვენებენ ახალ კინოფილმებს, ეწყობა ექსკურსიები ისტორიული ადგილების დასათვალიერებლად.

დასასვენებელი სახლი ყოველდღიურად თხუთმეტამდე სხვადასხვა სახის ჟურნალსა და გაზეთს იღებს.

დამსვენებლები უზრუნველყოფილი არიან მრავალფეროვანი კერძებით; საგზარეულოში აქვთ ყველა სახის ბოსტნეული, ხილი, ხორცი, ახალი თევზი.

დამსვენებლები კმაყოფილი არიან ამ სახლით, მისი მოწინავე ადამიანების — გიორგი მგელაძის, ნინო ჯაყელის, პეტრე სულაბერიძის და მრავალ სხვათა მზრუნველობით. მოსკოვის მოლოტოვის სახელობის ენერგეტიკის ლენინის ორდენოსანი ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ვლადიმერ სილეცკიმ დასასვენებელი სახლის შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერა: „ე და ჩემი მეუღლე ნინო მახლობელთა წრეში ვგრძნობთ თავს, საუკეთესო ადამიანები, რომლებიც ყოველდღიურად ზრუნავენ ჩვენზე, კარგი კვება, მოხდენილი პლაჟი და ბუნების სილამაზე დასვენების შესანიშნავ შესაძლებლობას ქმნის.

ასეთივე აზრია გამოთქმული ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის გენადი პაპკოვიჩის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტის პოლონელი იან გრუნის ჩანაწერებში. ისინი მადლობას უხდიან კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას მათთვის გაწეული მზრუნველობისათვის.

ამას წინათ აქ გაიხსნა ძეგლი: „ლენინი და სტალინი გორკაში“. ძეგლის გახსნის დღე დამსვენებლებმა ზეიმით აღნიშნეს. მოხსენება ლენინისა და სტალინის თანამეგობრობის შესახებ წაიკითხა დრამატურგმა ამირან შერვაშიძემ. შემდეგ გაიმართა კონცერტი.

თვითეული დამსვენებელი აღსავსეა უდიდესი მადლიერების გრძნობით პარტიისა და მთავრობისადმი, რომლებმაც საბჭოთა ადამიანებს განათლების, შრომისა და დასვენების ასეთი შესანიშნავი პირობები შეუქმნეს.

ჯ. სახვჩიძე.

წერილები რედაქციას

ერთი საყურადღებო საკითხის შესახებ

თბილისში არსებობს არტელი „ტრანსპორტნიკი“, რომელიც მომსახურებას უწევს რესპუბლიკის ორგანიზაციებს სასურსათო და სამრეწველო საქონლის მიწოდებით. ბუნებრივია, რომ „ტრანსპორტნიკის“ მუშაკები ხშირად სამსახურებრივ მივლინებაში იმყოფებიან. მათ კანონის მიხედვით უნდა აუნაზღაურდეს რკინიგზის ვაგონების გაცილებისათვის გაწეული შრომა და მიეცეთ სხვა სამივლინებო ხარჯებიც. აღნიშნული არტელის ხელმძღვანელები (გამგეობის თავმჯდომარე პ. ჭყონია) უხეშად არღვევენ შრომის ანაზღაურების პრინციპს. ხშირია შემთხვევები, როდესაც ვაგონის გამცილებლებს არ უნაზღაურებენ ხელფასს გაცდენილი დღეებისათვის და იძულებულს ხდიან მათ მიმართონ სახალხო სასამართლოს.

არის შემთხვევები, როცა არტელის ხელმძღვანელობა, თანამშრომლებისათვის ხელფასის მიცემას თავი რომ აარიდოს, კანონის საწინააღმდეგო განკარგულებას გამოსცემს ხოლმე. ამხ. ჭყონიას 1954 წლის 26 ივნისის № 81 განკარგულებათ პუნქტების გამგეები ლ. ბეგიაშვილი და დ. რეიკინი შტატის შემცირების გამო სამუშაოდან განთავისუფლებული არიან 1954 წლის 1 მაისიდან, ე. ი. უკანა რიცხვით. როგორც ვხედავთ, პ. ჭყონიამ თავის განკარგულებას უკუქცევითი ძალა მისცა, რითაც უხეშად დაარღვია კანონი.

მეტად საყურადღებოა ის მდგომარეობა, რომ 140 კაცს ხელფასიდან უკანონოდ დაუკავეს ზედმეტი თანხა. ისინი იძულებული გახდნენ მიემართათ სახალხო სასამართლოსათვის. არტელის გამგეობამ სარჩელი ცნო და სასამართლოში დაადასტურა, რომ აღნიშნულ პირებს უკანონოდ დაუკავეს ხელფასი და ვალდებული არიან აუნაზღაურონ.

საკითხავია, უდავო საქმეს სადავოდ რატომ ხდის არტელ „ტრანსპორტნიკის“ გამგეობა? — იმიტომ, რომ არტელში სათანადო სიმაღლეზე არ არის დაყენებული შრომის ორგანიზაცია, უხეშად არღვევენ სტატისტიკურ სტატისტიკას. ასეთივე შემთხვევებია თბილისის შამპანური ღვინის ქარხანაში. აწვდის რა შემკვეთ ორგანიზაციებს შამპანურ ღვინოს, ქარხანა ვალდებულია ზამთრის პერიოდში ვაგონის გასათბობად გამცილებელს მისცეს სათბობი ღვინოების უდანაკარგოდ ადგილზე ჩატანის მიზნით, მაგრამ ქარხნის ხელმძღვანელობა (დირექტორი ე. ჩაფიძე) ამას არ ასრულებს. ვაგონის გამცილებლები იძულებული ხდებიან თავიანთი სახსრებით შეაძინონ ნახშირი, მაგრამ ქარხნის დირექცია მათ შემდეგაც არ უნაღდებს ნახშირის ღირებულებას და დაზარალებულებს იძულებულს ხდის მიმართონ სახალხო სასამართლოს. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლოში 1954 წლის მარტო ორ თვეში აღძრული იყო 50-ზე მეტი ასეთი საქმე. სამწუხაროდ ასეთი უკანონობა კიდევ გრძელდება. უდავო საქმე კვლავ სადავო ხდება.

იყო შემთხვევები, როდესაც ფულის უქონლობის გამო ვაგონის გამცილებლები არ ყიდულობდნენ თავიანთი სახსრებით ნახშირს და ყინვის შედეგად იმსხვრეოდა ღვინიანი ბოთლები და ქარხანას ზარალი მოდიოდა, ხოლო ვაგონის გამცილებლები საბრალდებულო სკამზე ჯდებოდნენ.

ყველა საბჭოთა ორგანიზაციის ხელმძღვანელებს მოეთხოვებათ საბჭოთა კანონიერების მტკიცედ დაცვა, მათი მოვალეობაა უშუალოდ მოაგვარონ ისეთი საქმეები, რომლებიც მათს კომპეტენციაში შედის და სადავო არ არის, უსაფუძვლოდ არ აიძულონ მუშა-მოსამსახურეები მიმართონ სახალხო სასამართლოებს, რაც იწვევს ზედმეტ ხარჯებს, მუშა-მოსამსახურეთა გაცდენას, შრომის ნაყოფიერების დაცემას და სასამართლოების ტყუილ-უბრალოდ გადატვირთვას.

ა. გოგბერაშვილი.

საქმე, რომელიც უნდა მოგვარდეს

წლების მანძილზე მესტიის რაიონის მცხოვრებლებს დიდად აწუხებდა უგზოობა. ამის გამო მესტია თითქმის მოწყვეტილი იყო რესპუბლიკის სხვა რაიონებს, ფერხდებოდა სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის ტვირთების გადატან-გადმოტანა.

1937 წელს ეს საკითხი წარმატებით გადაწყდა: გაყვანილ იქნა შესანიშნავი საავტომობილო გზა მესტია-ზუგდიდი, ქუთაისიდან მესტიამდე დაწესდა საჰაერო მიმოსვლა. ამან დიდად შეუწყო ხელი რაიონის ეკონომიურ-კულტურულ წინსვლას. მიუხედავად იმისა, რომ ამ გზის გაყვანით მესტიისათვის უდიდესი საქმე გაკეთდა, მან მაინც მთლიანად ვერ გადაჭრა მგზავრთა შეუფერხებელი მიმოსვლის საკითხი.

საქმე ის არის, რომ მესტია-ზუგდიდის გზაზე მომუშავე ავტომანქანებს უმთავრესად ტვირთი გადაქვთ. მგზავრთა გადასაყვანად კი დაწესებული არ არის სპეციალური ავტომანქანა, რაიონის მშრომელები და ისინიც, ვინც სხვადასხვა მიზნით ჩამოდიან მესტიაში, საქონლით დატვირთული ავტომანქანებით მგზავრობენ. რომ არაფერი ვთქვათ უხერხულობაზე, ასეთი მგზავრობა უბედური შემთხვევების, ავარიების საფრთხეს ქმნის.

არის თუ არა ამ საკითხის მოგვარების შესაძლებლობა? უთუოდ არის! მაგრამ მას დღემდე არავინ გამოუჩნდა გულშემატკივარი.

ნუთუ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროს არ შეუძლია დანიშნოს მესტია-ზუგდიდის გზაზე ორი ავტობუსი მაინც მგზავრთა გადასაყვანად-გადმოსაყვანად?

დროა ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდეს.

მესტიის რაისაბჭოს დეპუტატები: ბეჭნუ ხერგიანი, ფაფალა კვიციანი, აკაკი გვიჩიანი.

მოვემსახუროთ სოფლებს ავტობუსით

ახალქალაქის რაიონის ბევრი სოფელი დიდად არის დაშორებული რაიონულ ცენტრს. კომეურნეები და სოფლის ინტელიგენცია ტრანსპორტის საშუალებათა ნაკლებობას განიცდიან. მგზავრი ხშირად მთელ დღეს უნდება ახალქალაქში ჩასვლას.

მარტო სოფელ კოჩიოსა და ახალქალაქს შორის ავტობუსების დანიშნული მომსახურება გაეწეოდა 22 სოფლის მშრომელებს. ეს საკითხი რამდენჯერმე დააყენეს რაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმა, მაგრამ მოთხოვნა ყოველთვის უშედეგოდ დარჩა.

განა ასე გაუჭირდა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების სამინისტროს ამ საქმის მოგვარება?

გ. ჩიტიაშვილი,
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„უღირსი შვილი“

„კომუნისტის“ 1953 წლის 9 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი „უღირსი შვილი“, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1953 წლის 6 ივნისის დადგენილებით უსაფუძვლო შესწორებები შეიტანა ქ. ჭიათურის პირველი უბნის სახალხო სასამართლოს 1953 წლის 12 მაისის გადაწყვეტილებაში საქმეზე ანა, ნადია, ელეფთერ, გენადი და მელენტი შეყრილაძეების სარჩელისა გამო გერვასი შეყრილაძის მიმართ საკოლმეურნეო კომლის ქონების გაყოფის შესახებ.

როგორც საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე იუსტიციის უფროსი მრჩეველი ამხ. გრ. ბიწაძე გვატყობინებს, რესპუბლიკის პროკურატურის მიერ შემოწმებით გამოირკვა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს დადგენილება არ იყო სწორი, რის გამო წარდგენება გაეგზავნა სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს.

სსრ კავშირის გენერალურმა პროკურორმა რესპუბლიკის პროკურატურის წარდგენება გაიზიარა. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1954 წლის 16 ივნისის დადგენილებით გაუქმებული საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1953 წლის 6 ივნისის დადგენილება და ძალაში დატოვებულია ქ. ჭიათურის პირველი უბნის სახალხო სასამართლოს 1953 წლის 12 მაისის გადაწყვეტილება.

ამრიგად, — გვწერს ამხ. გ. ბიწაძე, — წერილში მოყვანილი მამხილებელი ფაქტები დადასტურდა და ისინი უკვე გამოსწორებულია.

„საყურადღებო გამოგონება“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 4 ივლისის ნომერში დაბეჭდილ კორესპონდენციაზე, რომელიც შეეხებოდა მოქალაქე ა. თურქიაშვილს მიერ მექანიკური კოტოშების გამოგონების საკითხს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ამხ. მამამთავრიშვილი გვატყობინებს, რომ ა. თურქიაშვილის გამოგონების შესახებ ყველა საჭირო მასალა გადაეგზავნა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მოქალაქე ა. თურქიაშვილისათვის საავტორო უფლების მისანიჭებლად. მოსკოვიდან დადებითი პასუხის მიღების შემდეგ მიღებულ იქნება საჭირო ზომები ამ კოტოშების სერიული გამოშვებისათვის.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

რედაქციაში შემოსული იყო წერილი, რომელიც ეხებოდა თბილისის გარეუბნის რაიონის სოფელ დიდი ლილოს რადიოკვანძის ტექნიკოსს ა. ჭარცივაძის დანაშაულებრივ მოქმედებას. საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის გარეუბნის რაიკომი, რომელსაც ეს წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა, გვაცნობებს, რომ ა. ჭარცივაძის დანაშაულებრივი მოქმედება შეფასებულ იქნა ტუტრად. რაიკომის ბიუროს მასალები ა. ჭარცივაძის დანაშაულებრივი მოქმედების შესახებ გადასცა რაიონის პროკურორს.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების გადამწყვეტი დღეები

(რედაქციაში შემოსული მასალების მიხედვით)

მოახლოვდა ახალი სასწავლო წელი. რედაქციაში შემოსულია მასალები, რომლებიც მოწმობენ, რომ გარკვეულ წარმატებებთან ერთად რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში სახალხო განათლების მუშაკები და ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოები არადამაკმაყოფილებლად ემზადებიან ახალი სასწავლო წლისათვის.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სკოლებში, მართალია, სერიოზული მუშაობაა გაწეული ახალი სასწავლო წლისათვის მოსამზადებლად, მაგრამ არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ ზოგიერთ ხარვეზზე, რომლებსაც განსაკუთრებით ვხედებით გულრიფშის, გუდაუთისა და გაგრის რაიონებში. გულრიფშის რაიონის 88 დაწყებითი და საშუალო სკოლიდან 7 აგვისტოსათვის რემონტი დამთავრებული იყო მხოლოდ 63 სკოლაში. ცუდი მდგომარეობაა სკოლების დგამ-ავეჯით უზრუნველყოფის მხრივ. რაიონის სკოლებისათვის დამატებით აუცილებელია 800-ზე მეტი მერხი, დაფა, მაგიდა და სკამი. დღემდე ამ მიმართულებით უმნიშვნელო რამ არის გაკეთებული. იმის ნაცვლად, რომ მდგომარეობის გამოსასწორებლად იზრუნოს, გულრიფშის რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე ამხ. ა. კაკულია თვითდამშვიდებას მისცემია და ხშირად არასწორ ცნობებს აწვდის ხელმძღვანელ ორგანოებს.

გაკვირვებას იწვევს ის, რომ გაგრის რაიონის სოფელ ბზიბის მეხუთე რვაწლიან (დირექტორი ნ. მანჯგალაძე) და სოფელ ალახადის პირველ რვაწლიან (დირექტორი ნ. გვასალია) სკოლებში რემონტს ჯერაც არ შესდგომიან.

პოლიტექნიკური სწავლების სრულყოფილად განხორციელებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სკოლის სასწავლო-საცდელ ნაკვეთებს, მაგრამ აფხაზეთის ასსრ 200-მდე სკოლას ჯერ კიდევ არა აქვს საცდელი მიწის ნაკვეთი.

უკეთესი მდგომარეობა არც **ჭიათურის** რაიონშია. სოფელ არგვეთის საშუალო სკოლაში რემონტს ჩაშლის საფრთხე მოელის, ხოლო სოფელ ქორეთის საშუალო სკოლაში ამ მიმართულებით მუშაობა არც კი დაწყებულა. ხელშეკრულებით სკოლების რემონტს აკეთებს კომუნალური განყოფილების სარემონტო კანტორა (უფროსი გ. გუდაძე), მაგრამ იგი ახალი შექმნილია, საკმაოდ არა ჰყავს ხელოსნები, დამხმარე მუშახელი. კანტორა თავს ვერ ართმევს მოძალებულ სამუშაოებს.

რაიონის სკოლებს აკლიათ 450 მერხი, ბევრგან არსებული ინვენტარიც უვარგისია.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებია **ცხაკაიას** რაიონში. აქ განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელია სასკოლო შენობების კაპიტალური რემონტის ტემპი, დაბალია შესრულებულ სამუშაოთა ხარისხიც.

ძველი სენაკის საშუალო სკოლის კაპიტალური რემონტისათვის ნარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულია 21.511 მანეთი. რემონტი 20 ივლისს დაიწყო, მაგრამ არაორგანიზებულად.

ცხაკაიას ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სასწავლებლის კაპიტალური შეკეთებისათვის გათვალისწინებული სამინისტროს გამოჰყო 22.947 მანეთი. დროზე გაფორმდა ხელშეკრულება ქალაქის საბჭოს აღმასკომის სამშენებლო-სარემონტო კანტორასთან. მიუხედავად ამისა, რემონტის საქმეში დიდი შეფერხებაა, რაც უმთავრესად საშენი მასალების უქონლობით არის გამოწვეული.

მიმდინარე სასწავლო წლისათვის მზადებაში ყველაზე მეტ უპასუხისმგებლობას იჩენენ ახალსოფლის 8-წლიან სკოლაში. სოფელში ჯერ კიდევ შარშან დაიწყეს სკოლისათვის ახალი შენობის აგება, მაგრამ გათვალისწინებული თანხიდან მესამედიც ვერ აითვისეს. ამაში ბრალი მიუძღვის რაისაბჭოს აღმასკომს და კერძოდ, განათლების განყოფილებას, რომლებმაც საკმაო კონტროლი ვერ გაუწიეს უხეირო მშენებლებს. სურათი დღესაც თითქმის უცვლელია.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში ყველაზე რიგზე არ არის **თერჯოლის** რაიონშიც. ზედა საზანოს საშუალო სკოლის შენობა, შარშან გაზაფხულზე ჩამოინგრა. საჭირო შეიქნა სკოლის შენობის აღდგენა. სკოლის დირექციამ მშენებელ ორგანიზაციას საკმაო დიდი თანხა ჩაურიცხა, მშენებლები შარშან ზაფხულში შეუდგნენ სკოლის შენობის აღდგენას, მაგრამ შეუწყნარებელი ნელი ტემპით.

ახალ სასწავლო წელს მოუმზადებელი ხვდება ჩხარის საშუალო სკოლა. ეს სკოლა მეორე წელია ელოდება კაპიტალურ რემონტს, მაგრამ ამისათვის თანხებს რატომღაც არ იმეტებენ. სკოლა განსაკუთრებით განიცდის დგამ-ავეჯის ნაკლებობას.

12 აგვისტოსათვის **ადიგენის** რაიონის მეტ წილ სკოლებში დაწყებული არ იყო სარემონტო სამუშაოები. სკოლებმა კაპიტალური და მიმდინარე შეკეთებისათვის მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხის მხოლოდ 28 პროცენტი აითვისეს.

მეცადინეობის დაწყებას საფრთხე მოელის ქიქინეთის დაწყებით სკოლაში. ქვის კედლები დაშლილია და შენობა ირღვევა, ამიტომ ამ სოფელში ახალი სკოლის შენობის აგების დამთავრება პირველი სექტემბრისათვის გაითვალისწინეს. მთავრობამ მშენებლობისათვის 168.000 მანეთი გამოჰყო. სკოლის მშენებლობა დაევალა რაისაბჭოს აღმასკომის კომუნალურ განყოფილებას (გამგე ვ. გელაშვილი) და მის სამშენებლო კანტორას (უფროსი ბ. ჯანჯღავა). მათი უპასუხისმგებლობის შედეგად მშენებლობის საქმეში პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა.

დაწყებითი სკოლის ორი შენობა უნდა აეგოთ სოფლებში ჩორჩანსა და ყარათუბანში. „ახალციხექვანახშირის“ ტრესტმა, რომელმაც სკოლის მშენებლობა იკისრა, მუშაობა დაგვიანებით დაიწყო. ამჟამად მხოლოდ კედლის ამოყვანაზე მუშაობენ.

ასეთივე მდგომარეობაა დიდი სმადას, ფხვროს, ღორთუბნის და ბევრ სხვა 8-წლიან და დაწყებით სკოლებში.

ქარელის რაიონში ნაცვლად სამი ათასი კუბური მეტრისა, სკოლებშ- მოტანილია მხოლოდ სამასი კუბური მეტრი შეშა. საკმაო რაოდენობით არ არის მიტანილი მოსწავლეთა სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო ინვენტარი. ზოგიერთი სკოლა დაკომპლექტებული არ არის მასწავლებლებითაც.

მახარაძის რაიონის სოფელ მელექედურის 8-წლიანი სკოლის შენობა წლების მანძილზე ავარიულ მდგომარეობაშია. იქ მეცადინეობა დიდი ხანია არ წარმოებს. სკოლა შეუფერებელ ხის შენობაში მოათავსეს და მეცადინეობა რამდენიმე წლია ორ ცვლად წარმოებს. სკოლას არა აქვს სასწავლო კაბინეტები.

სკოლის რემონტი ძალიან ჭიანურდება სილაურის 8-წლიან სკოლაში. ახალი სასწავლო წლისათვის არადამაკმაყოფილებლად ემზადებიან ცხემლისხიდის, ნაგომრის, გაღმა დვაბზუს და კონჭკათის სკოლები. სოფელ ეფადიას დაწყებითი სკოლის ეზო შემოკავებული არ არის. შენობისათვის რემონტი არ გაუკეთებიათ. ეზოში და სკოლის დერეფანში პირუტყვი დადის.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებია **ონისა** და **ამბროლაურის** რაიონებში. ონის რაიონში სასკოლო შენობათა ნაწილი დღემდე შეუკეთებელია. განათლების სამინისტრომ რაიონს ძლიერ მცირე რაოდენობით გამოუყო სამშენებლო მასალები და სრულებით არ მისცა სამასალე მერქნის, ცემენტის და სხვა საშენი მასალების ფონდები. ეს კი მუშაობას აფერხებს. ამბროლაურის მთელ რიგ სკოლებში შენობებისა და ინვენტარ-მოწყობილობის რემონტი ჭიანურდება. ეს განსაკუთრებით ითქმის სოფლების წესის და ჭელიაღელის რვაწლიან სკოლებზე და სოფელ სადმელის საშუალო სკოლაზე. რაიონში ცუდად არის აგრეთვე სკოლების სათბობით მომარაგების საქმე.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადება პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, მთელი საზოგადოების უმნიშვნელოვანესი საქმეა. იგი მთ უფრო გვაკისრებს პასუხისმგებლობას, რომ ახლოვდება პირველი სექტემბერი.

სკოლები ამ დღისათვის [illegible] ზად უნდა იყვნენ.

ერნსტ ტელმანის ავაზაკური მკვლელობის მე-10 წლისთავი

ბერლინი, 18 აგვისტო. (საკდესი). ბერლინის დემოკრატიული გაზეთები დღეს აღნიშნავენ მე-10 წლისთავს იმ დღიდან, რაც ჰიტლერელებმა ავაზაკურად მოკლეს გერმანიის კომუნისტური პარტიის და გერმანიის შუშათა კლასის ხელმძღვანელი ერნსტ ტელმანი.

გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა“ დაბეჭდა მოწინავე სტატია, რომლის სათაურია „ტელმანის საქმე ცოცხლობს, იგი უკვდავია“. გაზეთმა აგრეთვე გამოაქვეყნა მთელი რიგი მასალები ერნსტ ტელმანის შესახებ. ერნსტ ტელმანის ავაზაკური მკვლელობის მე-10 წლისთავისადმი მიძღვნილი სტატიები გამოაქვეყნეს აგრეთვე გაზეთებმა „იუნგე ველტმა“, „ტრიბუნემ“, „ბერლინერ ციტუნგმა“ და სხვებმა.

დღეს ბერლინში ფრიდრიხსფელდის სასაფლაოზე რევოლუციური შუშათა მოძრაობის მებრძოლთა საფლავები გვირგვინებით შეამკეს დემოკრატიული პარტიების, მასობრივი ორგანიზაციებისა და ბერლინის საწარმოების მშრომელთა კოლექტივების სახელით.

პეკინის სახალხო წარმომადგენელთა კრების სესიაზე

პეკინი, 17 აგვისტო. (საკდესი). დღეს პეკინში გაიხსნა სახალხო წარმომადგენელთა საქალაქო კრების პირველი სესია.

შესავალ სიტყვაში პეკინის მერმა პინ ჯენმა აღნიშნა, რომ სახალხო ხელისუფლების წლებში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელებმა დიდ გამარჯვებებს მიაღწიეს ცხოვრების ყოველ დარგში. პეკინის სახალხო წარმომადგენელთა კრების ახლანდელმა პირველმა სესიამ, განაცხადა პინ ჯენმა, უნდა შეაჯამოს პეკინში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის განხილვის შედეგები, განიხილოს მოხსენება 1953 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ და 1954 წლის ბიუჯეტის პროექტი და აირჩიოს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების დეპუტატები.

ქალაქის მერის მოადგილემ უ ხანმა მოხსენება გააკეთა პეკინის მოსახლეობის მიერ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის განხილვის შედეგებზე. მან აღნიშნა, რომ განხილვის მსვლელობაში მოსახლეობამ 24 ათასზე მეტი სხვადასხვა წინადადება, შენიშვნა და შესწორება შეიტანა კონსტიტუციის პროექტში.

მერის მოადგილემ ჯან იუ-იუმ მოხსენება გააკეთა 1953 წლის ბიუჯეტის შესრულების შედეგებისა და 1954 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ. მან აღნიშნა, რომ საშემოსავლო ნაწილში პეკინის 1953 წლის ბიუჯეტი შესრულებულია 31,89 პროცენტის გადაჭარბებით. ეკონომიურ მშენებლობაზე 1953 წელს დაიხარჯა მთელი საბიუჯეტო სახსრების 45,84 პროცენტი, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვაზე — 35,2 პროცენტი.

1954 წელს, აღნიშნა ჯან იუ-იუმ, ეკონომიური მშენებლობის ხარჯები გასულ წელთან შედარებით გაიზრდება 14,64 პროცენტით, კულტურის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის განვითარების ხარჯები — 11,79 პროცენტით. 1954 წლის ბიუჯეტი, ხაზგასმით აღნიშნა მომხსენებელმა, უნდა ემსახურებოდეს დედაქალაქის მოსახლეობის კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომ ამაღლებას.

აღდგენილ იქნას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში!

ბანგკოკი, 18 აგვისტო. (საკდესი). როგორც გაზეთები იუწყებიან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის თავმჯდომარემ ვიჯაია ლაქშმი პანდიტმა, რომელიც პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა სინგაპურში, განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უფლებათა აღდგენა ხელს შეუწყობდა საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის შენელებას. ვიჯაია ლაქშმი პანდიტმა გადაჭრით გაილაშქრა ზოგიერთი წრის ცდების წინააღმდეგ — შეიცვალოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება დიდ სახელმწიფოთა ერთხმივობის პრინციპისათვის ძირის გამოთხრის მიზნით.

ინდონეზიელი ხალხის ეროვნული დღესასწაული

ჯაკარტა, 17 აგვისტო. (საკდესი). დღეს ინდონეზიელი ხალხი დღესასწაულობს თავისი დამოუკიდებლობის გამოცხადების მეცხრე წლისთავს. ინდონეზიის ქალაქებსა და სოფლებში გაიმართა მასობრივი მიტინგები და დემონსტრაციები, რომლებმაც შარშანდელთან შედარებით ჩაიარეს უფრო აქტიურად, ხალხის ძალების ერთიანობის ნიშნით. ასეულ ათასობით ადამიანი — მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები დღეს დროშებითა და პლაკატებით გამოვიდნენ ჯაკარტის ქუჩებში. ტრანსპარანტებზეა მოწოდებანი შემდგომი ბრძოლისაკენ ინდონეზიაში კოლონიური რეჟიმის სრული ლიკვიდაციისათვის.

პრეზიდენტმა სუკარნომ მოწოდებით მიმართა ხალხს. მიუღია რა ინდონეზიელ ხალხს ღღესასწაული, მან აღნიშნა, რომ „მეცხრე წლისთავმა კიდევ უფრო მიუახლოვა ინდონეზიელი ხალხის თავისუფლება და სუვერენიტეტი სრულ დამთავრებას“. პრეზიდენტმა მოუწოდა ხალხს მჭიდრო თანამშრომლობისაკენ ინდონეზიის აყვავებისათვის.

გამოქვეყნებულია აგრეთვე პრემიერ-მინისტრ სასტროამიჯოიოს და სხვა პოლიტიკურ მოღვაწეთა განცხადებანი.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარება გულგარეთში

სოფია, 18 აგვისტო. (საკდესი). ბულგარეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, ბულგარეთში სახალხო-დემოკრატიული წყობილების წლების მანძილზე შეიქმნა 2.700-ზე მეტი შრომითი კოოპერაციულ-სამიწათმოქმედო მეურნეობა, რომლებმაც გააერთიანეს 570 ათასამდე მეურნეობა. ბულგარეთში კოოპერირებულია დასამუშავებელი მიწის 60,5 პროცენტზე მეტი, ხოლო მთელ რიგ ოკოლიებში კოოპერირებული მიწის პროცენტი 75-95 პროცენტს აღწევს.

იმ მაღალი მექანიზაციისა და მოწინავე აგროტექნიკის მეოხებით, რასაც კოოპერაციულ მიწათმოქმედებაში იყენებენ, შრომითი კოოპერაციულ-სამიწათმოქმედო მეურნეობათა წილი ბულგარეთის მარცვლეულის წარმოებაში შეადგენს 66 პროცენტს, ბამბის — 72 პროცენტს, შაქრის ჭარხლის წარმოებაში — 84 პროცენტს და სხვ.

შარშან შრომითი კოოპერაციულ-სამიწათმოქმედო მეურნეობებში მიღებული საშუალო მოსავალი უფრო მეტი იყო, ვიდრე ერთპიროვნული გლეხებისა: ხორბლის დარგში — 21,7 პროცენტით, სიმინდის — 18,5 პროცენტით, მზესუმზირას — 30,8 პროცენტით, შაქრის ჭარხლის — 27,7 პროცენტით, ბამბის დარგში — 32 პროცენტით.

შრომითი კოოპერაციულ-სამიწათმოქმედო მეურნეობათა წევრებმა დიდი წარმატებანი მოიპოვეს აგრეთვე მეცხოველეობის დარგში. ბულგარეთის ყველა შრომითს კოოპერაციულ-სამიწათმოქმედო მეურნეობასთან შექმნილია მსხვილფეხა და წვრილფეხა რქიანი პირუტყვის მეცხოველეობის ფერმები, მეღორეობის ფერმები, მეფრინველეობის ფერმები, ხოლო მათს უმრავლესობაში ცხენთსაშენი ფერმებიც.

შრომითი კოოპერაციულ-სამიწათმოქმედო მეურნეობათა განმტკიცებამ მნიშვნელოვნად გაადიდა მათი წევრების შემოსავალი. ათობით შრომითი კოოპერაციულ-სამიწათმოქმედო მეურნეობა მილიონერი მეურნეობა ხდება.

საოლქო სასოფლო-სამეურნეო გამოფენების მოწყობისათვის მზადება აღბანეთში

ტირანა, 18 აგვისტო. (საკდესი). ალბანეთის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ჩატიო ტაშკომ განაცხადა, რომ ალბანეთის მოწინავე გლეხობა აქტიურად ემზადება იმისათვის, რომ მონაწილეობა მიიღოს სასოფლო-სამეურნეო გამოფენებში, რომლებიც მოეწყობა ალბანეთის ყველა საოლქო ცენტრში მიმდინარე წლის ოქტომბერსა და ნოემბერში. სამიწათმოქმედო საწარმოო კოოპერატივებთან, სახელმწიფო სოფლის მეურნეობებთან და მტს-ებთან ერთად ბევრმა მოწინავე გლეხმა განაცხადა სურვილი გამოფინოს თავისი შრომის პროდუქტები.

მშვიდობისათვის, კოლექტიური უშიშროებისათვის!

სოფია, 17 აგვისტო. (საკდესი). ბულგარეთის პრესა კვლავ კომენტარს უკეთებს საბჭოთა წინადადებებს იმის შესახებ, რომ უახლოეს დროში მოწვეულ იქნას თათბირი ევროპის კოლექტიური უშიშროების საკითხის განსახილველად. დღეს გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“ მოწინავე სტატიაში სათაურით „მშვიდობისათვის, კოლექტიური უშიშროებისათვის“ წერს: ჩვენი ქვეყანა მხურვალედ მიესალმება ახალ საბჭოთა წინადადებებს. მას მტკიცედ სწამს, რომ ევროპის ყველა სახელმწიფოს გაერთიანებული ღონისძიებანი მშვიდობის დასაცავად შექმნიან ვითარებას, როცა ყოველგვარი აგრესია შეუძლებელი გახდება და რომელიც ამავე დროს ხელს შეუწყობს გერმანიის საკითხის გადაჭრას.

ფართო გამოხმაურება, რაც საბჭოთა კავშირის წინადადებებმა გამოიწვია, იმის დამმტკიცებელია, რომ ეს წინადადებანი შეესაბამება მთელი მსოფლიოს მილიონობით უბრალო ადამიანის ნებას. საბჭოთა კავშირის თანმიმდევრულ და შეუპოვარ ბრძოლას ახალი ომის მომზადების იმპერიალისტური გეგმების წინააღმდეგ სულ უფრო მეტად დაუჭერს მხარს მთელი პროგრესული კაცობრიობა.

ამერიკის შეერთებული შტატები საფრთხეს უქმნიან აზიის ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებას

პეკინი, 17 აგვისტო. (საკდესი). ჩინეთის პრესა, რომელიც კომენტარს უკეთებს ცნობას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში სამხედრო ბლოკის შექმნის მიზნით ფილიპინებზე მომავალი კონფერენციის შესახებ, ერთსულოვნად გმობს ამერიკის მმართველი წრეების აგრესიულ ზრახვებს და აფასებს მათ როგორც აზიის ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის სერიოზულ საფრთხეს.

ამერიკის შეერთებული შტატები, წერს გაზეთი „ჟენმინჟიბაო“, აშკარად ახორციელებენ აზიაში მშვიდობისათვის საფრთხისა და ომის ახალი კერების შექმნის პოლიტიკას. იმ ბლოკის აგრესიული ხასიათი, რომლის შექმნასაც აპირებენ, სავსებით ცხადია. თუმცა ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ იგი წარმოგვიდგინონ როგორც ისეთი ორგანიზაცია, რომელიც თითქოს მოწოდებულია „განამტკიცოს მშვიდობა მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ რაიონში“. ამერიკის მმართველი წრეების მიერ განზრახული სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ბლოკის ორგანიზაცია სამხედრო ბლოკია, რომელიც მიმართულია ჩინეთის წინააღმდეგ და მიზნად ისახავს ინდოჩინეთის საკითხზე ჟენევის შეთანხმების ჩაშლას.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ბლოკის შექმნის ამერიკის გეგმები აწყდება აზიის ქვეყნების მზარდ უნდობლობასა და წინააღმდეგობას. ამის მოწმობს ის ფაქტი, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მხოლოდ ტაილანდისა და ფილიპინების მარიონეტული რეჟიმები წამოეგენ ახალი პაქტის ანკესს.

გაზეთი „გუანმინჟიბაო“ აღნიშნავს, რომ მომავალ კონფერენციას ფილიპინებზე აზიის ხალხებისათვის მოაქვს ახალი ომის საფრთხე. აზიის ხალხები მშვიდობასა და თანამშრომლობას ემხრობიან. მათ სძულთ ახალი ომის ხანძრის გაჩაღების გეგმები. აზიის ხალხთა მშვიდობა და თანამშრომლობა არათუ შესაძლებელია, არამედ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და მის ისეთ მეზობლებს შორის, როგორიც ინდოეთი და ბირმა არიან, ახლანდელი ურთიერთობის საფუძველიც არის.

ამერიკის რეაქცია მძვინვარებს

ვაშინგტონი, 17 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ მოიწონა ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის აკრძალვის კანონპროექტს ვარიანტი, რომელსაც მხარი დაუჭირა მთავრობამ.

მაშინ როცა კანონპროექტში, რომელიც ამის წინ მიიღო სენატმა, კომპარტიის წევრობა გამოცხადებულია დანაშაულად, კანონპროექტი, რომელიც წარმომადგენელთა პალატამ მიიღო, კრძალავს კომპარტიას როგორც იურიდიულ ორგანიზაციას და ყველა იურიდიულ უფლებას ართმევს მას.

კანონპროექტის წინააღმდეგ ხმა მისცეს წარმომადგენელთა პალატის წევრმა დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა მალტერმა (ნიუ-იორკის შტატი) და რესპუბლიკელმა ბარდიკმა (ჩრდილოეთ დაკოტის შტატი). ბარდიკმა განაცხადა, რომ იგი წინააღმდეგია ამ კანონპროექტისა, რადგან კონგრესი ცდილობს „უკანონოდ გამოაცხადოს ადამიანთა აზრი“.

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სასჯელის ზომებს კომპარტიის წევრთა წინააღმდეგ, ხელუხლებლად ტოვებს რა ისეთ რეპრესიულ კანონებს, როგორიც არის კანონი „შინაგანი უშიშროების“ შესახებ, სმიტის კანონი და სხვ., რომლებსაც უკვე ახლა ფართოდ იყენებენ ხელისუფალნი კომუნისტების დევნისათვის.

კანონპროექტი, რომელიც წარმომადგენელთა პალატამ მიიღო, ისევე როგორც სენატის კანონპროექტი, მიზნად ისახავს პროგრესული პროფკავშირებისა და სხვა ორგანიზაციების ლიკვიდაციას.

საგაფიცვო მოძრაობა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 16 აგვისტო. (საკდესი). ამერიკული პრესა აღნიშნავს საგაფიცვო მოძრაობის ზრდას ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამჟამად გაფიცულია ამერიკის შეერთებული შტატების რეზინის მრეწველობის ყველა მუშის ერთ მესამედამდე, რომლებიც ხელფასის გადიდებას მოითხოვენ. გაფიცულია რეზინის უდიდესი კომპანიების „გუდიერ ტაერ ენდ რაბერ კომპანის“ და „ფაირსტონ ტაერ ენდ რაბერ კომპანის“ 48 ათასი მუშა.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, „ამერიკენ ერლაინ კომპანიმ“ დაიწყო მუშებისა და მოსამსახურეების მასობრივი დათხოვნა იმასთან დაკავშირებით, რომ მესამე კვირაა გაფიცული არიან პილოტები, რომლებიც რვა საათის სამუშაო დღის დაწესებას მოითხოვენ. დღეს დაითხოვეს 2.000-მდე კაცი. კომპანია იმუქრება დაითხოვოს დანარჩენი 12 ათასი მუშა, თუ პილოტები გაფიცვას არ შეწყვეტენ. 22 ივნისიდან გაფიცული არიან ხეტყის მრეწველობის მუშები დასავლეთ შტატებში. ისინი ხელფასის გადიდებას მოითხოვენ.

იაპონელი ხალხი მოითხოვს ატომური იარაღის აკრძალვას

შანხაი, 17 აგვისტო. (საკდესი). როგორც იაპონიის რადიო იუწყება, ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის მიმართულებაზე იაპონიაში უკვე შეგროვებულია 18.900 ათასი ხელმოწერა. ხელმოწერის შეგროვების კამპანია გრძელდება.

ლაშქრობა პროფკავშირთა წინააღმდეგ გვატემალაში

ნიუ-იორკი, 18 აგვისტო. (საკდესი). საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის ორგანო ჟურნალ „სიო ნიუსში“ გამოქვეყნებულია საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის საერთაშორისო განყოფილების ერთ-ერთი დირექტორის დანიელ ბენედიქტის სტატია, რომელიც წერს გვატემალის მშრომელთა უფლებებსა და პროფკავშირებზე გვატემალის სამხედრო ხუნტის შეტევის შესახებ, ხუნტის ცდებზე — წაართვას გლეხებს ყველაფერი, რაც კი მისცა მათ მიწის რეფორმამ.

„მუშებს, რომლებიც ცნობილი არიან თავიანთი სიმპატიით პროფკავშირებისადმი, — ნათქვამია სტატიაში, — ათობით ითხოვენ სამუშაოდან... 5-8 ათასი კაცი გამომწყვდეულია საპყრობილეებში. ღარიბ ინდოელ გლეხ ქალთა გრძელი რიგები დგას საპყრობილეებთან სურსათის პატარა კალათებით პატიმართათვის“.

ბენედიქტი წერს, რომ გვატემალის ახალი მთავრობის ერთ-ერთი პირველი ღონისძიება იყო ხმის უფლების ჩამორთმევა ინდოელ გლეხთათვის იმ საფუძველზე, რომ ისინი წერა-კითხვის უცოდინარნი არიან. მიწის ახალმა კანონმა არა მარტო შეაჩერა უღარიბეს გლეხთათვის გამოუყენებელი მიწების მიცემის პროცესი, არამედ საშუალებასაც აძლევს მდიდარ მიწისმფლობელთ აღძრან სარჩელი, რომ უკანვე მიიღონ თავიანთი მიწა. საწარმოთა მეპატრონეებმა ისარგებლეს არბენსის მთავრობის დამხობით, რათა დაეთხოვათ ის მუშები, რომელთა „დანაშაულიც“ მხოლოდ ის იყო, რომ ისინი აქტიურად მუშაობდნენ პროფკავშირებში ან წინააღმდეგობას უწევდნენ ხელფასის შემცირებას. ბევრნი ამ მუშათაგან გამომწყვდეულია საპყრობილეებში.

„იუნაიტედ ფრუტ კომპანი“ სათავეში ჩაუდგა პროფკავშირთა იმ მოღალატეების შავი სიების შედგენის რეაქციულ კამპანიას, რომლებიც დათხოვნილ უნდა იქნან.

სამხრეთ ვიეტნამში სამეთვალყურეო და საკონტროლო შერეული კომისიის სხდომაზე

შანხაი, 18 აგვისტო. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო გადმოგვცემს, ფუნგ-ხიეპში (ქან-ტოს პროვინცია) გაიმართა პირველი სხდომა ვიეტნამის სახალხო არმიისა და საფრანგეთის კავშირის შეიარაღებული ძალების დელეგაციებისა, რომლებიც სამხრეთ ვიეტნამში სამეთვალყურეო და საკონტროლო შერეულ კომისიაში შედიან.

ვიეტნამის სახალხო არმიის დელეგაციას მეთაურობს ფამ ხუნგი, საფრანგეთის დელეგაციას — პოლკოვნიკი ბაზილიენი.

სხდომაზე განხილულ იქნა სამხრეთ ვიეტნამში ორივე მხარის შეიარაღებული ძალების სამხედრო პოზიციების განსაზღვრისა და დროებითი ზავის განხორციელების კონკრეტული ღონისძიებანი.

სხდომამ აგრეთვე განიხილა საკითხები, რომლებიც ეხება სამხრეთ ვიეტნამში სამეთვალყურეო და საკონტროლო შერეული კომისიის ორივე დელეგაციისა და სამხრეთ ვიეტნამის სხვადასხვა ზონაში სამეთვალყურეო და საკონტროლო ადგილმრივი შერეული კომისიების ორი დელეგაციის მუშაობის მეთოდებსა და ადგილს.

გოას ამბები

დელი, 17 აგვისტო. (საკდესი). 15 აგვისტოს გოას პატრიოტები, რომლებიც გაერთიანებული არიან მოხალისეთა რაზმებში, გამოვიდნენ გოას (პორტუგალიის სამფლობელო ინდოეთის დასავლეთ სანაპიროზე) მთელ რიგ ადგილებში. ორი დღის განმავლობაში მათ მოახერხეს გაეთავისუფლებინათ რამდენიმე დასახლებული პუნქტი, მათ შორის პატარა ციხე ტარეკჭოლი გოას ჩრდილოეთით. მოსახლეობა ყველგან მხურვალედ მიესალმებოდა მოხალისეებს და დახმარებას უწევდა მათ. რამდენიმე სასაზღვრო პუნქტში გოას პოლიციამ სცადა ხელი შეეშალა მოხალისეთა შესვლისათვის, მაგრამ ისინი განაგრძობდნენ ლაშქრობას, წინ მიჰქონდათ ინდოეთის ალმები.

გოადან მიღებული ცნობების თანახმად, მიუხედავად ლაშქრობის მშვიდობიანი ხასიათისა, ბევრი მოხალისე დაუპატიმრეს და საპყრობილეში ჩასვეს.

გუშინ პორტუგალელი ხელისუფლები გადავიდნენ საომარ მოქმედებაზე მოხალისეთა წინააღმდეგ, რომლებმაც დაიკავეს ტარეკჭოლის ციხე. ციხისაკენ გაგზავნა კრეისერი, რომელმაც საარტილერიო სროლა ატეხა, რის შემდეგაც ტყვიამფრქვევის ცეცხლის საფარით გადასხმულ იქნა დესანტი. ჯარისკაცებმა დაუპატიმრეს მოხალისეები, ჩამოგლეჯეს ციხიდან ინდოეთის ალმი და შეცვალეს იგი პორტუგალიის ალმით.

შეთანხმება სამხედრო ტყვეთა და სამოქალაქო პირთა გაცვლის შესახებ

შანხაი, 17 აგვისტო. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება:

14 აგვისტოს ვიეტნამის სახალხო არმიისა და საფრანგეთის კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლეს სარდლობათა დელეგაციების მეთაურებმა შერეულ სამხედრო კომისიაში ხელი მოაწერეს შეთანხმებას სამხედრო ტყვეთა და სამოქალაქო პირთა ჩაყვანისა და განთავისუფლების შესახებ. 16 აგვისტოს დელეგაციებმა ერთმანეთს გადასცეს ჩასაყვან სამხედრო ტყვეთა და სამოქალაქო პირთა სიები.

საგაფიცვო მოძრაობა ინგლისში

ლონდონი, 17 აგვისტო. (საკდესი). როგორც ლონდონის რადიო იუწყება, გულში, ინგლისის აღმოსავლეთ სანაპიროზე, 4 ათასამდე დოკერმა დღეს მუშაობა შეწყვიტა შრომის პირობების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

ნავსადგური უმოქმედოდ არის. შეწყვეტილია ყოველგვარი ტვირთის დატვირთვა.

სპორტის ამბები

ოსტატთა ღირსეული ჯილდო

მოსკოვში ფინალური შეხვედრებით დამთავრდა ჭაბუკთა გუნდების საკავშირო შეჯიბრება ფეხბურთში.

პირველი ადგილი დაიკავა ქალაქ მოსკოვის გუნდმა, რომელმაც 10 შესაძლებლიდან 8 ქულა მოაგროვა. მას გადაეცა გარდამავალი პრიზი ფეხბურთში, დაწესებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის მიერ. მეორე ადგილზე გამოვიდა საქართველოს ახალგაზრდა სპორტსმენთა კოლექტივი, რომელსაც 7 ქულა აქვს. უკრაინის გუნდმა, რომელმაც აგრეთვე 7 ქულა მოაგროვა, მაგრამ გატანილი და თავის კარში გაშვებული ბურთების უარესი შეფარდება აქვს, მესამე ადგილი დაიკავა. შემდეგ არიან რუსეთის სფს რესპუბლიკის (5 ქულა), სომხეთის (3 ქულა) კოლექტივები. უკანასკნელ ადგილზეა ლიტვის გუნდი.

* * *

სურათზე: საქართველოს ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი; მარჯვნივ — გუნდის მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. კიკნაძე.

ფეხბურთი

საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა

მოსკოვი. 18 აგვისტო. „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში. თამაშობდნენ მოსკოვის და ვარშავის ნაკრები გუნდები. თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა ფრედ 1:1. თამაშის მეორე ნახევრის დაწყებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ მსაჯი 11-მეტრიან საჯარიმო დარტყმას ნიშნავს პოლონელთა კარში. მოსკოველებმა კარგად გამოიყენეს ეს შესაძლებლობა და გადიდეს ანგარიში. თამაშის 30-ე წუთზე მოსკოველმა ფეხბურთელებმა შორი მანძილიდან ძლიერად დარტყმული ბურთი მესამედ მოათავსეს სტუმრების კარში. თამაშის დამთავრებამდე ანგარიში არ შეცვლილა. ამრიგად, ეს ამხანაგური შეხვედრა დამთავრდა მოსკოველ ფეხბურთელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:1.

თამაში მიმდინარეობდა უაღრესად ამხანაგურ, გულთბილ ვითარებაში.

სსრ კავშირის პირველობა

კუიბიშევი. 18 აგვისტო. გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის 1954 წლის პირველობაზე ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ კუიბიშევის „კრილია სოვეტოვისა“ და გორკის „ტორპედოს“ გუნდები. თამაში დამთავრდა ფრედ ანგარიშით 0:0.

კინომსახიობის თეატრის გასტროლები

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მოწვევით თბილისში საგასტროლოდ ჩამოსულია ლენინის ორდენოსან კინოსტუდია „მოსფილმის“ კინომსახიობის თეატრი-სტუდია 130-ზე მეტი კაცის შემადგენლობით.

თბილისის მაყურებლებს თეატრის მაღალმხატვრული სპექტაკლები ახსოვთ მისი პირველი გასტროლებით თბილისში — 1952 წელს.

თეატრს საგასტროლო რეპერტუარში აქვს საუკეთესო დადგმები — ი. ეგოროვის და მ. პობედონოსცევის „სამი ჯარისკაცი“, ა. ოფინოგენოვის „მაშენკა“, ა. ოსტროვსკის „უმზითვო“, მ. სალტიკოვ-შჩედრინის „პაზუხინის სიკვდილი“, ა. ჩეხოვის მოთხრობის მოტივების მიხედვით „მოუსვენარი“, ს. ნაიდენოვის „ვანიუშინის შვილები“. გარდა ამისა, თეატრი მართავს ძველი ვოდევილებს საღამოებს და კინომსახიობთა საღამო-კონცერტებს.

სპექტაკლებში მონაწილეობას იღებენ საბჭოთა მაყურებლისათვის კინოფილმებიდან კარგად ცნობილი და საყვარელი კინომსახიობები: სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ს. ბონდარჩუკი, რსფსრ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ბ. ანდრეევი, რსფსრ დამსახურებული არტისტები, სტალინური პრემიის ლაურეატები ნ. ალისოვა, ო. ჟიზნევა, ლ. სუხარევსკაია, რსფსრ დამსახურებული არტისტები ტ. გურეცკაია, ა. პანოვა, ე. ცესარსკაია, გ. ბუდაროვი, ს. გოლოვანოვი, ს. მარტინსონი, სტალინური პრემიის ლაურეატები ი. მაკაროვა, ლ. სმირნოვა, ვ. ბალაშოვი, ს. გურზო, ვ. ივანოვი, ს. სტოლიაროვი, ა. ჩეზოდეროვი, მსახიობები ი. ეფიმო, ა. ლარიონოვა, გ. რომანოვი და სხვები.

თეატრი თბილისში დარჩება 1 სექტემბრამდე. ფილარმონიის საზაფხულო თეატრში, სომხური დრამის თეატრში, ორჯონიკიძისა და ვოროშილოვის სახელობის პარკებში თეატრმა უკვე გამართა რამდენიმე სპექტაკლი, კინომსახიობთა საღამო-კონცერტები.

თბილისს გარდა, თეატრი სპექტაკლებსა და საღამო-კონცერტებს გამართავს გორში, ბორჯომში, ბათუმში, სოხუმში.

სტუდენტთა სადიპლომო ნამუშევრების განხილვა

სსრ კავშირის სამხატვრო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა სადიპლომო ნამუშევრების მოძრავი გამოფენა, რომელიც მოწყობილია თბილისის სამხატვრო გალერიაში, დიდი წარმატებით სარგებლობს. 20 დღის განმავლობაში გამოფენა დაათვალიერა 50 ათასამდე კაცმა. აქ მოდიან ქალაქის საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები, მოსწავლეები, სტუდენტები, ტურისტები.

20 აგვისტოს საღამოს 7 საათსა და 30 წუთზე ეწყობა გამოფენის საზოგადოებრივი განხილვა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს მხატვრები, თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტები, ფართო საზოგადოებრიობა. მოხსენებას წაიკითხავს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. ქუთათელაძე. შესვლა თავისუფალია.

რედაქტორის მოადგილე
რ. ძურაბიკიძე.

წიგნის მაღაზია **„საქართველოს აკადემიური წიგნი“** ყოფილი ბინიდან (ცეცხოველის ქ. № 6) გადავიდა რუსთაველის პროსპექტზე № 19 სახლში.

მაღაზია სისტემატურად იღებს ახალ წიგნებს.

შვილები გრიგოლ, ვარლამ, შალვა, ხუტა, ჯ. ჩიქავა, მავრი, რძლები გუგუ, მარიამ, ბაბუცა ჩიქავები შვილებით იუწყებიან **ბაბილინა თადას ასულ ჩიქავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-VIII ქ. ზუგდიდში, გამოსვენება ბინიდან, ძნელაძის ქ. № 5.

დედა ამნადარი, მეუღლე ტიტე, შვილები გულნარა, ნარგიზა და ცირა, დები ოლია და ვალენტინა, ძმები ჯ. და შ. დგებუაძეები, სიძეები ჯ. გოცაძე, ი. უჩანეიშვილი და ა. კორძაია ოჯახით, მაზლი ვლადიმერ შვილებით იუწყებიან **მარო ნესტორის ასულ დგებუაძე-საჯაიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ცხოკაიაში 22-VIII, მახარაძის ქ. № 9.

დედა დომნიკა, მამა პავლე, და შუშანა, ძმები ვალერიან, ოთარ დგებუაძეები იუწყებიან **ნინო პავლეს ასულ დგებუაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-VIII სოფ. ლეჩქოფში (სოხუმის რ.).

მეუღლე სოფიო, შვილები ნინო, იოსებ, რძალი სარა, შვილიშვილები იზოლდა, გივი იუწყებიან **მიხეილ იოსებიძე გიგაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 20. 21-VIII, 8 ს. გამოსვენება 22-VIII, 3 ს. ბინიდან, ნიკოლაძის I შესახვევი № 3.

მოქალაქე **ვარდენ პარმენის-ძე მარგველიძემ**, მცხოვრებმა ქ. თბილისში პრესის ქ. № 22, აღძრა საქმე ქ. თბილისში ბრძოლის ქ. № 36 მცხოვრებ **თინა სამსონის ასულ ბაკურაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს სტალინის რაიონის მეშვიდე უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **მარო ბესარიონის ასულმა ბებურაშვილმა**, მცხოვრებმა ლესელიძის ქ. № 47, აღძრა საქმე ქ. თბილისში თუმანიანის ქ. № 18 მცხოვრებ **სიმონ ბენიამინის-ძე მეკინულოვთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს ქ. თბილისის კიროვის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე ნადია, შვილები თამარ, ქენია, სიძე ნ. გაბუნია, შვილიშვილები ავთანდილ, მერი, სვეტლანა იუწყებიან **ინგისტო ყარამანის-ძე გუგუშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-VIII, სოფ. სიხარულში (გაგრის რ.).

დედა ლუბა, მეუღლე თინა, შვილები გურამ, თენგიზ, დები მარო, ვერა, ია, სიძეები ვასიკო დევდარიანი, შოთა ბუზარიაშვილი იუწყებიან **ლუარსაბ ზოსიმეს-ძე კალანდიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21-VIII, 8 ს. გამოსვენება 22-VIII, 3 ს. ბინიდან, ლესის ქ. № 3.

მეუღლე ნინო, შვილები ნათელა და რევაზ, ცოლისძმები იოსებ, ვახტანგ, ცოლისდა ქეთევან იუწყებიან ექიმ **ივანე ნიკოლოზის-ძე თევდორაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21-VIII, 8 ს. გამოსვენება 22-VIII, 4 ს. 9 იანვრის ქ. № 6.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი იუწყება **ნიკოლოზ რობერტის-ძე ბოგატელს** გარდაცვალებას.

რედაქციის. გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14 **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03, 8-82-05